ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+„მარკესი“
8 ლარი
15 ივნისიდან




სამშაბათი, 21 ივნისი, 2011 №145 (5526) ფასი: 30 თეთრი

## ბადრი ბიწაძე იძებნება

გვ.3

სად იმყოფება ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე



## მამუკა გამყრელიძე ჩინეთში ელჩად ინიშნება

გვ.5





## თბილისელებმა ერთი თვე წყლის გადასახადი არ უნდა გადაიხადონ

გვ.2

## მიტინგის დარბევისას სპეცრაზმელები ამბობდნენ, გაჩეჩილაძე უნდა ჩავაძაღლოთო

გვ.3

ჩემთვის ყველა ჯოჯოა, ვინც სახეზე ნიღაბაფარებულმა წაქცეულს სცემა, თანაც გამეტებით, პრემიის გულისთვის



## აქციების დრო დამთავრდა

ოპოზიციური რვიანისგან შედეგს უცბად არ უნდა ელოდოთ

გვ.5



## რას გვდებს ბრალად ერიკ ფურნიე

გვ.3



გვ.4

## ალავერდის მონასტერი ისევ საფრთხეშია

## პაატა დავითაია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ინიშნება?

გვ.7



3090

SMS განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

4 ბზებისთვის გამოყოფილი ფული ნაციონალებს ხმარდებათ

7 ვალერიან გორგილაძე — „რვიანში“ შემავალ ზოგიერთ სუბიექტს ნერვებმა უმტყუნა

10 პატიმრების წამება არავის შერჩება

11 რისთვის ემზადება გიგი უგულავა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# პროკურატურამ ბიწაძის დაპატიმრება მოითხოვა

## სად იმყოფება ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე

**26 მაისის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ასეთი კითხვა აწუხებდა — რატომ არ აპატიმრებენ ბადრი ბიწაძეს? ეს კითხვა ერს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ხელისუფლებამ სულისშემძვრელი ჩანაწერები გვაჩვენა და მოგვასმენინა.**

თეა მარხვაი ე



ჩვენი სამართალდამცავებისა და ნაციონალების მტკიცებით, ბიწაძე თავის მეუღლესთან და სხვა პირებთან ერთად გადატრიალებას ამზადებდა. ამ ჩანაწერებში ყველაზე საინტერესო ეპიზოდი „რესტორნის ამბავი“ იყო. ამის შემდეგ ერი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ გადატრიალებები რესტორნებში იგეგმება.

პირველად ასეთი რამე 2009 წელს გვაუწყეს. მაშინაც რესტრანში გეგმავდნენ ავისმოსურნენი ჩვენი ხელისუფლებისთვის რაღაცეების მოწყობას. საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ რესტორანში გადატრიალებებზე არავინ საუბრობს. თუმცა მშობლიური შსს-ს ჩანაწერები საპირისპიროს ამტკიცებს.

სისხლიან 26 მაისამდე ხელისუფლებამ დააკავა გენერალი გია უჩავა, რომელმაც ისეთი ჩვენებები მისცა, თუ ის მართალია, ბიწაძე უკვე გასკვანჩული უნდა ყოფილიყო. უჩავას ჩვენებებიდან გამომდინარე, თავიდან გვითხრეს, რომ ბიწაძე გადატრიალებას ამზადებდა. მერე კი რატომღაც ფირფიტა შეატრიალეს და ბიწაძეს ასი ათასი გირაოს გადახდა დააკისრეს. ამჯერად მას უკვე გადატრიალებასთან არავინ აკავშირებდა.

ეს ასი ათასი ბიწაძეს ან მის ოჯახს ერთი კვირის ვადაში უნდა გადაეხადა. ბადრი ბიწაძის მეუღლემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ის გირაოს გადახდას არ აპირებს. მან ისიც დაამატა, რომ გირაოს გადახდასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება თავად ბიწაძემ უნდა მიიღოს.

ბიწაძის პოზიციის გაგება ამასთან დაკავშირებით ვერავინ შეძლო, რადგან ეს უკანასკნელი გაუჩინარებულია. მის კვალს ყოვლისშემძლე მერაბიშვილმაც კი ვერ მიაგონო. ისე, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ სწორედ მერაბიშვილის დავალებით გაუშვეს ის საქართველოდან.

თავიდან ვრცელდებოდა ცნობები, რომ ბიწაძე ერევანში იმყოფებოდა. ამის შესახებ სომხურმა მედიამ დიდი ჟრიამული ატეხა. ეს ამბავი თითქმის ყველამ დაიჯერა, მაგრამ მოულოდნელად ნინო ბურჯანაძე კიევში გაემგზავრა, სადაც მან პრესკონფერენცია გამართა.

თბილისში ეს ვიზიტი სხვანაირად აღიქვეს. მავანმა ნაციონალმა და მათმა მეგობარმა ექსპერტმა ივარაუდა, რომ ბურჯანაძე კიევში მეუღლესთან შესახვედრად ჩავიდა. მერე გვითხრეს, რომ ბადრი ბიწაძემ მოსკოვს შეაფარა თავი. ნინო ბურჯანაძემ ორივე ვერსიას სისულელე უწოდა. ამასთან პარლამენტის ექსსპიკერს არ დაუკონკრეტებია, სად არის მისი მეუღლე. ამბობს, რომ ამის შესახებ მან არაფერი არ იცის.

გუშინ ცნობილი გახდა პროკურატურის შუამდგომლობის შესახებ. საქართველოს პროკურატურამ კვირას შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულ ბადრი ბიწაძის მიმართ, ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების (გირაოს) პირობების დარღვევის გამო, უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენების შესახებ.

ცნობისათვის, ბადრი ბიწაძეს პროკურატურამ ბრალი 30 მაისს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით წაუყენა და აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს გადახდა მოითხოვა.

აღნიშნული მუხლი განიმარტება, როგორც დანაშაული, ჩადენილი ჯგუფის მიერ, რომელიც გულისხმობს პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

სასამართლომ გაითვალისწინა პროკურატურის თხოვნა და ბიწაძეს აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს გადახდა დაავალა 100 ათასი ლარის ოდენობით.

ამ გირაოსთან დაკავშირებით სერიოზული ამბები ატყდა. მართლა პარადოქსია კაცს გადატრიალების მოწყობას აბრალებდე და მარტო ასი ათასი დააკისრო, თუმცა ამ ჩვენს ხელისუფლებას რას გაუგებ! დღეს ისინი ბიწაძეს გადატრიალებისთვის სულაც არ ეძებენ, არამედ იმისთვის უპრებენ დასჯას, რომ ის პოლიციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად სპეციალურ ჯგუფებს ქმნიდა.

უკვე ზეპირად ვიცით, რომ ამ მიზნის მისაღწევად რაგატკებს თლიდა. თუმცა ეს რაგაკეტები ვერავინ იპოვა. ეტყობა, ეს უკანასკნელი რაგატკებს თლიდა და კომბლესავით ჭერში აწყობდა.

ასეა თუ ისეა, ბიწაძეს დაპატიმრებას უპირებენ. მისი მეუღლე ნინო ბურჯანაძე უკვე დიდი ხანია რაც ითხოვს დამაპატიმრეთო. ხელისუფლება ამისგან თავს იკავებს. არადა, მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციებით ბურჯანაძე აქამდე უნდა დაეკავებინათ. შეიძლება მისი დაკავება ძალიანაც უნდათ, მაგრამ ეს ამბავი მარტივად არ დასრულდება.

ბურჯანაძის დაკავებას დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვება. თუმცა მარტო ამაში არ იქნება საქმე. ხელისუფლებას აშკარად სხვა რაღაცა აკავებს. ვითომ ის კომპრომატები, რომლებიც ბურჯანაძეს აქვს? მან ნაციონალებზე მართლა ბევრი საინტერესო რამე იცის.

შესაძლოა ამის ხათრით გაათავისუფლეს 26 მაისის ღამეს დაკავებული ბადრი ბიწაძე. ცნობილია, რომ ის სამართალდამცავებმა თანმხლებ პირებთან ერთად 26 მაისსვე დააკავა. მისი მანქანა და თანმხლები პირები სადღაც წაიყვანეს, ბიწაძე კი დმანისის ტყეში ტარზანივით მარტო დატოვეს.

როგორც ჩანს, იმედი ჰქონდათ, რომ ეს უკანასკნელი რაგატკების გამოთლას დაიწყებდა და პოლიციასაც ექნებოდა ნივთმტკიცება. ცნობილია ისიც, რომ დმანისის ტყიდან ბიწაძე გუბაზ სანიკიძემ წამოიყვანა და ბოლნისში დატოვა მისივე თხოვნით.

ამის შემდეგ მისი კვალი დაკარგულია. არც ხელისუფლება და არც მისი ოჯახის წევრები არ ამბობენ, სად შეიძლება იყოს სასაზღვრო პოლიციის ყოფილი შეფი, რომელსაც მისი მეუღლის მსგავსად, ძალიან ბევრი და საინტერესო ინფორმაცია აქვს ხელისუფლების წევრებზე.

წლების განმავლობაში ის მთავარი სამხედრო პროკურორი იყო, 2001 წლის ბოლოდან გენერალური პროკურორის მოადგილედ დაინიშნა. ეს პოსტი ვარდების რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე დატოვა. რევოლუციის შემდეგ ის სასაზღვრო პოლიციის შეფად და შს მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

ეს თანამდებობა მან 2008 წლის ნოემბერში დატოვა. რამდენიმე თვეში ის აქტიურად ჩაერთო საპროტესტო აქციებში. ამ მხრივ მისი პირველი ნათლობა 2009 წლის აქციებზე შედგა. თუმცა, რატომ მაშინ, ის აქციებში 2003 წელსაც მონაწილეობდა.

ახლა თუ რაგატკების ბოროტი განზრახვით აპირებდა გამოყენებას, 2009 წელს მას ბეისბოლის ბიტების გამო მოსდეს შარი. ხელისუფლების მტკიცებით, ბიწაძე თავის შვილთან ერთად აქციის მონაწილეებს ბეისბოლის ბიტებს ურიგებდა.

როგორც ამბობენ, მისი დაკავება ხელისუფლებას მაშინაც სურდა, მაგრამ მაშინ არ გამოუვიდათ. შესაძლოა არც მოინდომეს. ვნახოთ, რა მოხდება ახლა. დაიჭერს თუ არა მერაბიშვილი თავის ყოფილ მოადგილეს, რომელსაც ძალიან ბევრი და საინტერესო ინფორმაციები გააჩნია.

პროკურატურამ კიდევ ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა, რომელიც ბიწაძეს არა, მაგრამ 26 მაისის დარბევას უკავშირდება. პროკურატურის გავრცელებული ინფორმაციით, 2011 წლის 26 მაისს ძალოვანი სტრუქტურების ცალკეული წარმომადგენლების მიერ ძალის გადამეტების შესაძლო ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

საინტერესოა, რას დაადგენს გამოძიება. შსს ამბობს, რომ იმ ღამეს პოლიცია ძალიან ჰუმანურად იქცეოდა. ამასვე იმეორებენ პატარ-პატარა ნაციონალები. ბოლო ხანებში ამ მიმართულებით ცოტა დაამუხრუჭეს, რადგანაც ეს ჰუმანური დარბევა ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ დაგმო. რაც მთავარია, ძალის გადამეტებაზე თვით ჯონ ბასმა გააკეთა განცხადება. აშშ-ს ელჩის სიტყვა კი, ხომ იცით, ამათთვის კანონია. ისე, ბასმა რომ უთხრას, მტკვარში გადახტითო, ნეტა გადახტებიან?

# თბილისელებმა ერთი თვე წყლის გადასახადი არ უნდა გადაიხადონ

**დედაქალაქის წყლით მომარაგების კუთხით არსებულ მძიმე ვითარებას, რომელიც თბილისში ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში შეიქმნა, ოპოზიციური პარტიები აპროტესტებენ და ხელისუფლებას „თბილისის წყლის“ კომპანიასთან ხელშეკრულების გადახედვას ურჩევენ. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ „თბილისის წყალი“ რუსულ კომპანიაზე გაასხვისა და დღეს დედაქალაქის წყლით მომარაგებას „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერი“ უზრუნველყოფს.**

შორენა კოწოწაშვილი

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების წყლის უკეთ მოწოდების კუთხით არ განხორციელებულა, სამაგიეროდ, წარმატებული აღმოჩნდა სააკაშვილის ხელისუფლებასთან გარიგება და ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილების მიღება ერთიანი ქვითრის შემოღების კუთხით. ეს კი, ერთი მხრივ, ლახავს ადამიანის უფლებებს და სერიოზულად ურტყამს თბილისელების ჯიბეს, მეორე მხრივ, სრულად ემსახურება რუსული კომპანიის გამდიდრებას.

აღსანიშნავია, რომ „თბილისის წყლის“ რუს მესაკუთრეთა წინააღმდეგ არაერთხელ გამოსულა ლეიბორისტული პარტია. შალვა ნათელაშვილის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის გასხვისება და თანაც — რუსულ კომპანიაზე, დაუშვებელია.

გუშინ „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის“ ხელმძღვანელობას ლეიბორისტულმა პარტიამ ოფიციალური განცხადებით მიმართა და წყლის მოწოდების შეფერხებისა და ბოლო დღეებში დედაქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილის უწყლოდ დატოვებისთვის კომპენსაცია მოსთხოვა.

წერილში აღნიშნულია, რომ ბოლო დღეებში სასმელი წყლის არმოწოდების გამო თბილისის უბნების მოსახლეობას დიდი დისკომფორტი შეექმნა, რაზეც პასუხისმგებლობა კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერს“ ეკისრება.

— იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია მოსახლეობისგან წყლის გადასახადის ამოღებას ყველა გზით ცდილობს და გადაუხდელობის შემთხვევაში უმკაცრეს ზომებს მიმართავს, ვალდებულია, მოსახლეობის ინტერესები 100%-ით გაითვალისწინოს, — განაცხადა ლეიბორისტული პარტიის წევრმა პაატა ჯიბლაძემ, რომელმაც კომპანიის ხელმძღვანელობის სახელზე წერილი შეიტანა. მისი თქმით, ამ შემთხვევაში მართებული იქნება, კომპანიის ხელმძღვანელობამ კომპენსაციის სახით თბილისელებს ერთი თვის გადასახადი მოუხსნას.

— იმ შემთხვევაში, თუ ლეიბორისტული პარტიის მოთხოვნა გათვალისწინებული არ იქნება, პარტის მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით სასამართლოში სარჩელს შეიტანს, — აღნიშნა ჯიბლაძემ.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტების განცხადება-ინიციატივას „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის“ ხელმძღვანელობამ გუშინვე უპასუხა. კომპანიის ტექნიკურ დირექტორ ომარ გოცირიძის განცხადებით, წყალმომარაგებაში შექმნილი პრობლემები არა კომპანიის ცუდი მუშაობის, არამედ ფორსმაჟორული სიტუაციის შედეგია.

— წყალმომარაგების შეზღუდვა ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია. მოსახლეობის პარალელურად, ბუნებრივმა პირობებმა ჩვენი კომპანიაც მნიშვნელოვნად დააზარალა. შესაბამისად, ჩვენთვის კომპენსაციის მოთხოვნა მიუღებლად მიმაჩნია, — აღნიშნა ომარ გოცირიძემ.

# რესპუბლიკელები „თბილისის წყლის“ წინააღმდეგ

შორენა კოწოწაშვილი

რესპუბლიკური პარტია დედაქალაქის წყლით მომარაგების კუთხით არსებულ ვითარებას აპროტესტებს და დედაქალაქის მერიას უპასუხისმგებლობასა და დედაქალაქის მცხოვრებთა ინტერესების იგნორირებაში ამხელს.

ამასთან, ოპოზიციურ პარტიაში აცხადებენ, რომ დედაქალაქის მერი თავს არიდებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას და „თბილისის წყლის“ მესაკუთრეებთან არც სამართლებრივი პროცედურების წამოწყებას გეგმავს და არც ხელშეკრულების გადახედვას.

— 2008 წელს თბილისის მერიის მიერ განხორციელებული უკანონო და კორუფციული გარიგების შედეგი ის არის, რომ პრივატიზაციიდან 3 წლის შემდეგ თბილისის წყლით მომარაგება არ გაუმჯობესებულა. დღეს თბილისს წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით მეტი პრობლემა აქვს, ვიდრე მანამდე ჰქონდა. თბილისში წყლით მომარაგებაში შექმნილი კრიზისის გამო პასუხისმგებლობას თბილისის მერიას ვაკისრებთ, — ნათქვამია რესპუბლიკური პარტიის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადების თანახმად, კომპანია, რომელსაც პრივატიზაციის დროს გადაეცა თბილისის წყალი, გულწრფელად აცხადებდა, რომ არ ჰქონდა წყლის მენეჯმენტში არავითარი გამოცდილება. ამასთანავე, ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა კომპანიასთან, დახუნძლულია ვალდებულებებით, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე არ შესრულებულა.

რესპუბლიკელებისთვის გაუგებარია, რატომ არ ასრულებს თბილისის მერია თავის მოვლეობას და, ერთი მხრივ, არ წყვეტს თბილისის წყალთან კონტრაქტს, ხოლო მეორე მხრივ მიყენებული ზარალისა და შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის არ უჩივის სასამართლოში.

ოპოზიციურ პარტიაში მიაჩნიათ, რომ ერთიანი ქვითრის შემოღებით და წყლის საფასურის გაორმაგებით მერიამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი კომპანიის მხრიდან უპასუხისმგებლო, დანაშაულებრივი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# მიტინგის დარბევისას სპეცრაზმელები ამბობდნენ, გაჩეჩილაძე უნდა ჩავაძაღლოთო

ქეთი ხომერიკი

## ჩემთვის ყველა ჯოჯოა, ვინც სახეზე ნიღაბაფარებულმა წაქცეულს სცემა, თანაც გამეტებით, პრემიის გულისთვის



რედაქციის კართან შემხვდა, მთხოვა მისთვის მომესმინა, სასწაული გადამხდა 26 მაისს, მინდა მოგიყვეო, დავთანხმდი. სხვათა შორის, ეს ის ადამიანია, რომელიც 21 მაისს აქციაზე, როგორც სააკაშვილის მომხრე, ისე მივიდა და ტელეკომპანია „რეალტივი“ მთელი დღეები ატრიალებდა მას. დავინტერესდი, რა უნდოდა სააკაშვილის და მისი გუნდის მხარდამჭერს აქციაზე და უფრო დიდი ინტერესით გავესაუბრე. აი, რა მომიყვა სააკაშვილის ე.წ. მხარდამჭერმა, უპარტიო მოქალაქე გიორგი ბერეჟიანმა.

**გიორგი ბერეჟიანი:**

— რუსეთიდან ოთხი წლის ჩამოსული ვარ, ოცი წელი ვიცხოვრე მოსკოვში, ბოლოს 1999 წელს ვიყავი ჩამოსული. 2007-ში კი საბოლოოდ ჩამოვედი საქართველოში. ძალიან ბევრი სასიკეთო ძვრები ვნახე, ძვრები კი არა იმ საშინელ დროს ვერც შევადარებ. იმედით ავივსე, ვიფიქრე ეშველა ჩემს სამშობლოს-მეთქი. სააკაშვილმა მომნუსხა თავის სასწაული ქარიზმით. 2008 წელს მე სულ სხვა რამ დავინახე იმ სცენაში, როდესაც მიშა ძირს დაეცა თვითმფრინავის ხმაზე, მე, ჩემი თავი გამახსენდა. აფხაზეთის ომის დროს მეც ისეთივე შეშინებული ვიყავი, როცა ტამიშთან რუსებმა დაგვაყარეს. ძლივს დავძლიე შიში და წამოვდექი. პრობლემა შიშში არ არის, პრობლემა იმაშია, როცა ეცემი და ველარ დგები. მიშა ადგა და არა მარტო ადგა, არამედ დამარცხება გამარჯვებად აქცია.

*— თქვენ თვლით, რომ გავიმარჯვეთ?*

— მე არა, მიშაზე ვამბობ, ის თვლის ასე. მას მართლა გამარჯვებული ჰგონია თავი. სიტყვა გამიგრძელდა, მოდით, პირდაპირ სათქმელზე გადავალ. 21-ში მიტინგზე მივედი დამკვირვებლის როლში. იმ აქციაზე ერთადერთი ადამიანი ვიყავი, რომელიც სააკაშვილს არ ლანძღავდა, მეტიც, მხარს უჭერდა. ნანა გავიცანი ლეჟავა და ბევრი ვიმსჯელეთ იმაზე, თუ რა საიდუმლო გეგმა შეიძლება ჰქონოდა ბურჯანაძეს. დავასკვენით, რომ მხოლოდ ერთი, სისხლი უნდა დაღვრილიყო, რომ მიშას ძალაუფლება შერყეულიყო. სამწუხაროდ, ჩიხში შეყვანილ მიშასაც სხვა გზა არ დავუტოვეთ, ჩვენ, ქართველებმა. ასე რომ, მასაც აწყობდა სისხლისღვრა ერის დაშინებული უღმერთო ნაწილის კიდევ მეტად დასაშინებლად.

*— სააკაშვილის მიმართ თქვენი დამოკიდებულება გასაგებია, აი, აქციის ორგანიზატორებზე რას იტყვით? მათი გულწრფელობის შესახებ...*

— რა გულწრფელობაზე მელაპარაკებით, პოლიტიკოსი და გულწრფელი სად გინახავთ?! პატივმოყვარე და ანგარებიანი ადამიანები არიან, ყველა ერთნაირია. ნახევარ ერს გაჟლიტავენ, თუნდაც მეორე ნახევარში, რომ იმეფონ. არც ბურჯანაძეა გამონაკლისი. ვიმეორებ, მე აქციაზე დამკვირვებლის როლში მივედი და არა იმიტომ, რომ სააკაშვილის გადადგომა მომეთხოვა.

*— სხვათა შორის, თავიდანვე მეცნეთ... თქვენ ის ადამიანი ხართ, „რეალტივიზე“ რომ გაჩვენეს, მიშას მომხრე ოპოზიციის მიტინგზეო, არა?*

— მე მიშას მომხრე ვარ და საერთოდ, ყველა ჩვენი მოქალაქის. ინტერვიუ სპეციალურად მივეცი მომიტინგეების გასაგონად, მაინტერესებდა, დემოკრატიისა და თავგანწირვისათვის მზად მყოფი ხალხი თუ ამიტანდა აქციაზე ერთ მიშას მომხრეს. გაგიკვირდებათ, მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც ამიტანეს. სიტყვა ძალიან გამიგრძელდა, სჯობს, იმაზე გადავალ, რისი თქმაც მინდოდა. მხოლოდ გაითვალისწინეთ, რომ რასაც მოგიყვებით, ყველაფერი ის არის, რასაც მე მაშინ ვგრძნობდი „ბელა ჩაოს“ მუხტის ქვეშ. სცენასთან ახლოს ვიდექი, როცა ჯოჯოთა ჯარი დაიძრა, მე ასე ვუწოდებ სპეცრაზმელებს. ნურავის ეწყინება, ჩემთვის ყველა ჯოჯოა, ვინც სახეზე ნიღაბაფარებული წაქცეულს სცემა, თანაც გამეტებით, პრემიის გულისთვის. ვერავინ დამაჯერებს, რომ რომელიმე ჯოჯო თვლიდა, რომ სამშობლოს გადარჩენისათვის იბრძოდა (სააკაშვილის მხარდამჭერი სპეცრაზმელებზე ასე საუბრობს, რაღა დაგიმალოთ და გამიკვირდა, ეს ხომ მათი სტილი არ არის... შევაწყვეტინე).

*— კი მაგრამ, თქვენ რომელი პარტიის მხარდამჭერი ხართ, ნაციონალების, არა?*

— კი, მაგრამ მე არც ერთ პარტიას ვეკუთვნი, ანუ არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ. მე ერთი რიგითი მოქალაქე ვარ, უბრალოდ, მიშათი ვიყავი მოხიბლული. აქვე გეტყვით, რომ ვინც იქ, აქციაზე იდგა, სულიერებასთან დაკავშირებით, ნამდვილად არ აქვს პრობლემა, პარტიული ამბიციებით მდგომთა გარდა.

*— ვის გულისხმობთ?*

— კომიტეტების ხელმძღვანელების იმ ნაწილს, ვინც ფულები ჩაიჯიბა და ჩამოყვანილი ხალხი ნახევრად მშიერი ამყოფა. ჩამოსულების ძირითადი ნაწილი კარგად ხვდებოდა, რომ მათ უშუალო ხემძღვანელები ატყუებდნენ, მაგრამ არაფერს ამბობდნენ, ვინაიდან მართლა გულწრფელად იდგნენ იქ. ჩემთან საუბრისას ამას აცხადებდნენ ყოველ შემთხვევაში. ისე, რომ იცოდეთ, მომავალი თანამდებობების მომლოდინეები ძირითადად გაიპარნენ დარბევამდე. ვაგრძელებ თხრობას იმ დღის განცდებით. იმ ღამეს ჩვენს წინააღმდეგ ჯოჯოები იდგნენ. ვისი ბრალია, ჩვენი ძმები რომ აღმოჩნდნენ იმ ჭაობში? მათი? იქნებ ჩვენი, ვინც გავუტარეთ ყველა არასწორი ქმედება? თუ საბერძნეთში ერთი „რიკოშეტით“ მოკლული რუმინელი არ შეარჩინეს პოლიციას, ჩვენ რა გვჭირს? ისე, ყველა ღამე იქ ვიყავი და როგორც ხვანჭკარა არ მინახავს იქ, ისე ე.წ. მოლოტოვის კოქტეილის კვალიც ვერ ვნახე. რაიმე მსგავსი რომ მენახა ან გამეგონა მე, იქ არ დავდგებოდი, ალბათ, როგორც ნონა გაფრინდაშვილი და სხვა ყველა, ბურჯანაძის ჩათვლით, იმედი მაქვს, რომ არ ვცდები. საბედნიეროდ, ეგ გზა მიშამ და ვანომ ნამდვილად ჩაკეტეს.

*— იქნებ დეტალურად გვიამბოთ, რა ხდებოდა აქციის დარბევის დროს.*

— ალყა შემორტყმული ვიყავით, თითქმის ცხრა აპრილს ჰგავდა, მხოლოდ ერთი სხვაობა იყო — რუსებმა გასაქცევი დაგვიტოვეს. ამ დროს ჯიპები მოადგნენ სცენას, მესმოდა, როგორ აგდებდნენ ბურჯანაძეს ორგანიზატორები ბადრისთან ერთად, წადით, თქვენ მოგკლავენო. ბურჯანაძე დათანხმდა, ჩაჯდა და სხვებსაც სთხოვდა, რომ ჩამჯდარიყვნენ, თუმცა, თითქმის არავინ გაჰყვა. ხალხი მომაწვა და ძირს დავეცი. სცენასთან ვიდექი და ჩემი თავი მანქანის ქვეშ აღმოჩნდა. დავინახე როგორ აახიეს „ჟეშტი“ ღობეს ლევან გაჩეჩილაძის თანმხლებმა პირებმა და როგორ შეასწრეს მათ, ჭინკებს, ანუ ზონდერებს სამშენებლო მოედანზე. ის იყო გამოძრომა დავაპირე, რომ ჯოჯოები მოვარდნენ. ფეხების შეყოფა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი. რამდენჯერმე დამკრა ფეხზე ხელკეტი ერთ-ერთმა. მოულოდნელად, გვერდზე მდგომმა ხელი უტაცა, გეყოფაო. დავინახე ათიოდე ადამიანი ლევან გაჩეჩილაძის გზას მიჰყვებოდა. ტკივილს არ ვგრძნობდი, უცებ გამოვძვერი და მეც შევვარდი სამშენებლო მოედანზე მათთან ერთად. ორი თუ სამი ქალიც იყო. დავეშვით, „კატლავანის“ პირზე და აღმოვაჩინეთ, რომ გასასვლელი არ იყო. დავინახე ვიღაც კაცი შემოძვრა ხვრელში, ორი ზონდერი შემოჰყვა, სასტიკად სცემეს, მერე გაათრიეს და ჩვენც დაგვინახეს და დარაჯს ჭიშკარი გააღებინეს. დავიფანტეთ, დამალვას ვცდილობდით. შევშინდი გაჩეჩილაძეზე, არ იპოვონ თორემ მოკლავენ-მეთქი ვფიქრობდი, რადგან მესმოდა სპეცნაზელების საუბარი, გაჩეჩილაძე უნდა ჩავაძაღლოთო. უფალს შევთხოვე, ლევანისაც უშველე-მეთქი. მილს ამოფარებულს შავი კაცი მომადგა, რომელილაც ზომბი აკვალიანებდა, დავინახე, მანდ არისო. შავ კაცს ვუთხარი, ომში კანტუზია მაქვს მიღებული, თავში რომ მომხვდეს, უეჭველი მოვკვდები-მეთქი. ხელი მკრა, ღრმულში ჩავსრიალდი, მანდ იყავი, არ ამოხვიდეო. საშინელი ხმები მესმოდა. ერთმა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რას გვდებს ბრალად ერიკ ფურნიე

## საფრანგეთის ელჩის განცხადებაზე საგარეო უწყება კომენტარს ვერ აკეთებს

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. გრიგოლ ვაშაძის მოადგილე ნინო კალანდაძემ გასული კვირის მოვლენები შეაჯამა და მომდევნო კვირის გეგმებზე ისაუბრა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, შეიძლება ითქვას, საფრანგეთის ელჩ ერიკ ფურნიეს განცხადებაა, რომელზეც კომენტარის გაკეთება ნინო კალანდაძეს გაუჭირდა.**



ერიკ ფურნიემ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში საქართველო დაადანაშაულა, მეტიც, დიპლომატმა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ცოდვებიც გაიხსენა და განაცხადა, რომ 1921 წელს მენშევიკურმა მთავრობამ ოსეთის მოსახლეობა გაჟლიტა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, საგარეო საქმეთა სამინისტრო ვერ გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას მანამ, სანამ საფრანგეთის ელჩისაგან უშუალოდ არ მოისმენს განმარტებებს.

— ძნელია ნებისმიერი სახის შეფასების გაკეთება, ვიდრე ელჩს არ გავესაუბრებით და არ ვკითხავთ მას, თუ რა იგულისხმა და რა ფორმით იყო ეს განცხადება გაკეთებული, მით უმეტეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმ ქვეყნის წარმომადგენელზე, რომელიც უშუალოდ მედიატორი იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირების პროცესში, ასევე უშუალოდ მონაწილეობდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმებაში, მაშინ როდესაც რუსეთის შეჭრა მოხდა ცხინვალში. შესაბამისად, გასაკვირი იქნება, თუ ასეთი განცხადება გააკეთა ერიკ ფურნიემ, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

ერიკ ფურნიე ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას — გრძნობს თუ არა ელჩი პასუხისმგებლობას 2008 წლის 8 აგვისტოს ომისა და იმის გამო, რომ ბუქარესტში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება, ფაქტობრივად, გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო ჩავარდა, ასე პასუხობს:

— ვინ წამოიწყო ომი, პირველმა ვინ ისროლა ცხინვალის მიმართულებით. თქვენ ვერ შეძლებთ ისტორიის ხელახლა დაწერას და პასუხისმგებლობის ძებნას სხვაგან და არა იქ, სადაც ის არის. ამასთან დაკავშირებით თუ ცოტა შორს მოძებნით, ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოთ მენშევიკურ რესპუბლიკას, რომელმაც 1921 წელს ოსეთის მოსახლეობა გაჟლიტა და არა საფრანგეთს ან სხვა სახელმწიფოებს. ამ საქმეში რეალური პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მხარის ნაციონალიზმს, რომელიც ევროპის ომების უმრავლესობის საფუძველი იყო, რომელიც, საბედნიეროდ, გადავლახეთ და ავირჩიეთ სხვა ღირებულებები, რომლებიც წარმოსახვითი ერების ოცნებებზე მაღლა დგას, — ასეთია ის განცხადება, რომელიც საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ერიკ ფურნიემ გააკეთა.

აღნიშნული განცხადების შემდეგ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ დიპლომატი მსგავსი განცხადების შემდეგ პერსონა ნონ გრატად უნდა იქნეს გამოცხადებული.

ამ ყველაფრის შემდეგ როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, ამას დრო გვიჩვენებს. კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ელჩმა ისაუბრა, ქართული მედიაა. ის ყურადღებას ქართული მედიის სისუსტეებზე ამახვილებს.

დიპლომატი ამბობს, რომ ქართული მედიის სუსტი მხარეები უამრავ ანგარიშშია აღწერილი.

— არხები, რომლებზეც ვერავინ გეტყვით, ვის ეკუთვნის, მთავარი რედაქტორები, რომლებიც თემებს თვითნებურად ირჩევენ, ჟურნალისტები, რომლებიც სამსახურის დაკარგვის შიშით თვითცენზურას მიმართავენ, პროფკავშირის არარსებობა საავტორო უფლებების დასაცავად, კვალიფიკაციის ნაკლებობა, რაც უმრავლესობას საშუალებას აძლევს, შეუმოწმებელი ინფორმაცია გაავრცელოს, დაპირისპირებული დებატების არარსებობა, მოკლედ, არასრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც პროვინციებში ხშირად ხელმისაწვდომი არ არის, — ასეთია ის ჩამონათვალი, რომელსაც ფურნიე ქართული ჟურნალისტიკის სუსტ მხარეებს უწოდებს.

რაც შეეხება დანარჩენ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელზეც ნინო კალანდაძემ ისაუბრა, შეეხება რაჭის მაღალმთიან სოფელში 10 ქართველის გატაცების ფაქტს რუსი ოკუპანტების მიერ.

აყვანის ფაქტი რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნის დროს მოხდა, რომელსაც ოსები და ქართველები, ტრადიციულად, საუკუნეების მანძილზე ერთად აღნიშნავენ.

სალოცავები, სადაც მოსახლეობა რელიგიური დღესასწაულის აღსანიშნავად მიდის, საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარეობს. საგარეო საქმეთა სამინისტრო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართავს, რომ მათ გააძლიერონ ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინსტროს განცხადებით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს მოქალაქეების გატაცება ხდება და რუსი ოკუპანტები მშვიდობიანი მოქალაქეების უფლებებს უკანონოდ არღვევენ.

დიპლომატიურ უწყებაში აცხადებენ, რომ ეს არის უკვე სამწუხარო ტენდენცია, რომელიც, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება, რადგანაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყოველდღიურად ირღვევა ადამიანის უფლებები.

ნინო კალანდაძე აცხადებს, რომ ეს არის რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა, რომ მათ დაარღვიონ ყველა საერთაშორისო სამართლის ნორმები და ადამიანის უფლებები.

— სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი ინციდენტი. ეს უკვე არის სამწუხარო ტენდენცია, რომელიც, ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ასეთივე ნეგატიური ტენდენციით განვითარდება სამომავლოდაც, რამდენადაც ეს ინციდენტები ცხადყოფს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრული განუკითხაობაა. ადამიანის უფლებების შელახვა და დარღვევა ყოველდღიური პრაქტიკაა. ეს არის ცალსახად რუსი ოკუპანტების მხრიდან მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ მათ სურთ, თავხედურად უგულებელყონ საერთაშორისო თანამეგობრობის ყველანაირი მოწოდება, დაცულ იქნეს უსაფრთხოების ზომები და ადამიანის უფლებები იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მათ კონტროლქვეშ იმყოფება, — განაცხადა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, ჩაერთოს არა მხოლოდ აღნიშნული ინციდენტის მოგვარებაში, არამედ გააძლიეროს ზეწოლა რუსეთზე იმისთვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღიკვეთოს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.

საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საგარეო უწყების შეშფოთებას გამოეხმაურა. რუსეთის ფედერაციის შეშფოთება ბათუმის პორტში ამერიკულ სამხედრო ხომალდ „მონტერეის“ შემოსვლამ გამოიწვია.

როგორც ნინო კალანდაძემ განაცხადა, სამხედრო ხომალდების რეგულარული შემოსვლა შავი ზღვის რეგიონში ცხადყოფს იმას, რომ შავი ზღვის რეგიონს დიდი მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების თვალსაზრისით.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ „მონტერეის“ შემოსვლის მიზანია საერთაშორისო წვრთნების ჩატარება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

— რაც შეეხება რუსეთის განცხადებას, უნდა ითქვას, რომ ეს წვრთნები ემსახურება გლობალური უსაფრთხოების დაცვას, რეგიონის უსაფრთხოებას და რუსეთის ფედერაციას ამ საკითხში არაფერი ეთქმის, რადგან ეს არის სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განხორციელებული წვრთნები, რომელიც იგეგმებოდა აქამდე და რომელიც მომავალშიც დაიგეგმება, — აღნიშნა კალანდაძემ.

ბრიუსელში თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხზე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მეოთხე შეხვედრა გაიმართება. როგორც ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ნინო კალანდაძემ განაცხადა, შეხვედრა შესაბამისი დეპარტამენტების დონეზე წარიმართება.

კალანდაძის თქმით, ქართული დელეგაცია შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად უკვე გაემგზავრა. ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ქვეკომიტეტის მეოთხე შეხვედრაზე მთავარი განსახილველი საკითხი რეგიონული უსაფრთხოება იქნება.

— ამ შეხვედრის ფარგლებში მოგვეცემა შესაძლებლობა, ინტენსიურად წარვმართოთ სავიზო პოლიტიკის გამარტივებისა და მისი შემდგომი იმპლემენტაციის საკითხი, ასევე განიხილება რეადმისიის საკითხი, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

შედით საიტზე atb.ge



# ალავერდის მონასტერი ისევ საფრთხეშია

**ჩვენს ხელისუფლებას გასაკეთებელი ბევრი აქვს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყანა ძლიერმა წვიმებმა დააზარალა. უხვი ნალექის გამო საქართველოს ყველა კუთხე დაზარალდა. ზარალი კახეთშიც დიდია. ზარალის შედეგებს ჯერ კიდევ ითვლიან. სინოპტიკოსები უახლოეს დღეებში გამოდარებას არ გვპირდებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიდევ უარესს უნდა ველოდოთ.**



თეა მარხვაი ე

უარესის მოლოდინშია ალავერდის სამონასტრო კომპლექსიც, რომელიც წინა კვირაში უკვე ორჯერ დაიტბორა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მონასტერი ძალიან ცუდ დღეშია და ყველაფერი შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს.

წვიმის და სტიქიის შეკავება არც ერთ ხელისუფლებას არ ძალუძს, მით უმეტეს, ჩვენსას, რომლისთვისაც მთავარი პიარია და მეტი არაფერი. წვიმებს ხელისუფლება თავიდან ვერ აიცილებდა, თუმცა მათ შეეძლოთ, ალავერდი ამ უბედურებისაგან გადაერჩინათ.

როგორც გაირკვა, მონასტრის წარმომადგენლებმა ახმეტის ხელისუფლება ჯერ კიდევ ადრიან გაზაფხულზე გააფრთხილეს, რომ მონასტერს საფრთხე ემუქრებოდა და სათანადო ზომების მიღება სთხოვეს. ხელისუფლებამ ამისთვის ვერ მოიცალა, სამაგიეროდ, წვიმამ მოიცალა და დიდებულ ალავერდს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, მდინარე შავკაბას ხევიდან გადმოვარდნილმა წყალმა მონასტრის გალავანი რამდენიმე ადგილზე დააზიანა. ტაძრის კედლები დანესტიანდა და ობი მოედო. საფუტკრე მეურნეობა განადგურდა, დაზიანდა საწყობი, სადურგლო და აბანო. სამონასტრო კომპლექსში ამ დროისთვის სარეაბილიტაციო ან მოსალოდნელი სტიქიის პრევენციული სამუშაოები არ მიმდინარეობს.

— ადიდებულმა მდინარემ XI საუკუნეში აგებული ალავერდის ტაძარი და მისი მიმდებარე ტერიტორია 17 და 18 ივნისს დატბორა. მდინარემ ჯებირი, რომელიც მონასტრის ძალისხმევით იყო გაკეთებული, გაგლიჯა და გზის ნაწილიც წაიღო. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია ამჟამად დატბორილი აღარ არის, თუმცა მონასტერში მოღვაწე მამების თქმით, მონასტრის დატბორვა ყოველ წუთს მოსალოდნელია, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

როცა ცნობილი გახდა, რომ სტიქიამ ალავერდის მონასტერს შეუტია, იქ სასწრაფოდ ჩავიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შორის ახმეტის მაჟორიტარი პეტრე ცისკარიშვილიც. ვერ გეტყვით, ამინდმა მას სცა თუ არა პატივი, მაგრამ მისი იქ ყოფნის დროს ამინდი გამოკეთდა. წყლის დონემაც იკლო, მაგრამ საკმარისი იყო ის და ახმეტის გამგებელი იქედან წამოსულიყვნენ, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

— აუცილებელია, რომ მდინარეს კალაპოტი შეეცვალოს და ჯებირები გაკეთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, წყალი ნებისმიერ დროს შეიძლება გადმოვარდეს და უარესი შედეგი დადგეს. ორი დღის წინ წყალდიდობის შედეგები კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, პეტრე ცისკარიშვილმა და ახმეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ მოინახულეს. მათი წასვლისთანავე წყალმა მატება დაიწყო და 1 საათში სულ დაიტბორა აქაურობა. მზე იყო და თან ღვარცოფი მოდიოდა. მთაში წვიმა მოვიდა და მდინარის ადიდებაც ამან გამოიწვია. ეს საშიშროება ისევ არის. გამგეობამ ტრაქტორი გამოგვიგზავნა, მდინარის კალაპოტის შეცვლა უნდოდათ, მაგრამ ერთი ტრაქტორი რას გახდებოდა? ახლოსაც ვერ მივიდა. მრევლიც მოვიდა, მაგრამ ვერაფერი გავაწყეთ. მხოლოდ ის მოვახერხეთ, რომ საფუტკრე მეურნეობის ნაწილი გადავარჩინეთ. რომელ სკასაც წყალი მიადგებოდა, ეკლესიაში მივარბენინებდით. 3 ადამიანი ისე დაგვიკბინეს ფუტკრებმა, რომ გადასხმები დასჭირდათ. ბოსტანიც მთლიანად გაგვინადგურდა. ცოტაოდენი კარტოფილიღა დარჩა. წლების განმავლობაში ნაგროვები ხის მასალა და სკებიც სულ დასველდა და აღარ გამოდგება, — აღნიშნა მამა გერასიმემ კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში.

დედა მარიამის თქმით, მონასტერმა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ყველა უწყება გაზაფხულის დადგომამდე გააფრთხილა, მაგრამ სტიქიის თავიდან ასაცილებლად არანაირი ქმედითი ღონისძიება არ გატარებულა.

— სათავე რომ დაზიანდა, ჯერ კიდევ ზამთარში, სანამ წყალდიდობები დაიწყებოდა, ყველა შესაბამისი უწყება გავაფრთხილეთ. ვუთხარით, რომ თუ ეს ხევი არ მოწესრიგდებოდა თავისი კალაპოტით და სათავით, მონასტერს დააზიანებდა. წყალდიდობებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა მონასტერს. ბურჯი საშიშ მდგომარეობაშია, მაგრამ რადგან ხედავენ, რომ ჯერ არ წაქცეულა, ჰგონიათ, რომ საფრთხე არ ემუქრება. ეკლესია მთლიანად დანესტიანებულია. შენობა შირიმის ქვითაა ნაგები. ეს ქვა წყალს სწრაფად იწოვს, ამიტომ მონასტერი უკვე ნესტის სუნითაა გაჟღენთილი. აუცილებელია შესაბამისი ზომები სასწრაფოდ იქნას მიღებული მდინარის კალაპოტის შესაცვლელად, მაგრამ ჯერ არანაირი სამუშაო არ დაწყებულა, — აღნიშნა დედა მარიამმა.

ხელისუფლებამ მონასტრის წარმომადგენლებს პირობა მისცა, ყველაფერს გავაკეთებთ, რისი გაკეთებაც კი შეიძლებაო. ცუდი ისაა, რომ ხელისუფლებამ ჯერ არ იცის რა უნდა გააკეთოს, რომ მონასტერი მორიგი უბედურებისაგან იხსნას.

— ხელისუფლების წარმომადგენლები დაგვპირდნენ, მოვიფიქრებთ, რისი გაკეთება შეიძლებაო, მაგრამ ამასობაში ეკლესიას სულ უფრო მეტი საფრთხე ემუქრება. გული მწყდება, განა რამდენი ასეთი ძეგლი გვაქვს საქართველოში. ეს ხომ ყველას მოსაფრთხილებელია? აქამდე მოგვიტანეს წინაპრებმა და სირცხვილი არ არის, რომ 21-ე საუკუნეში, ტექნიკის ხანაში ასეთი პრობლემები იქმნება? — ამბობს მამა გერასიმე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ მდინარეზე სამუშაოები წყლის დონის დაწევისთანავე დაიწყება.

— მდინარეში წყლის დონე როგორც კი დაიწევს, მაშინვე დაიწყება სამუშაოები. მდინარეს კალაპოტს შევუცვლით, გაკეთდება ჯებირები და გაბიონები. ამ სამუშაოებს დაახლოებით 20 000 ლარი დასჭირდება. ეს თანხა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა. ეკლესიას რაც შეეხება, არანაირი საფრთხე არ ემუქრება. მთავარია, რომ მდინარეს დროულად მივხედოთ და ეკლესიას დატბორვის საფრთხე ავაცილოთ, — განაცხადა კობა მაისურაძემ.

იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ალავერდის მონასტერს საფრთხე არ დაემუქრება. ეს ყველაფერი შეიძლება თავიდან ყოფილიყო აცილებული, ხელისუფლებას მონასტრის წარმომადგენლების გაფრთხილება რომ ყურად ელო.

თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებას მაშინ ამისთვის არ ეცალა. ან იმის იმედი ჰქონდა, რომ სტიქია ალავერდს ვერაფერს ვერ დააკლებდა. ამ მონასტერმა ხომ უამრავ რამეს გაუძლო.

იმედია ალავერდი კიდევ ბევრს გაუძლებს და ხელისუფლებაც სათანადო ღონისძიებებს გაატარებს.

წინა კვირაში როცა სტიქია ალავერდს უტევდა, ხელისუფლებამ ახმეტის რაიონში სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც ღამის პირველ საათზე სტალინის ძეგლის დემონტაჟი განახორციელეს. ეს ყველაფერი ხალხისგან მალულად ღამის პირველ საათზე მოხდა.

ურიგო არ იქნებოდა, ასეთივე მონდომებით გამგეობა თუ საკრებულო მდინარის სათავო ნაგებობას შეაკეთებდა, რომელიც ალავერდს საფრთხეს უქმნის და ამ საფრთხის შესახებ ყველა იყო ინფორმირებული. ასეთ შემთხვევაში მათ ღამე აღარ მოუწევდათ საქმის გაკეთება და მოსახლეობაც მათ გვერდით დადგებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, სტალინის ძეგლის მოშორება უფრო მნიშვნელოვანი იყო.

სტალინი მოშორებულია, ასე რომ, ახლა ახმეტის გამგეობას შეუძლია ალავერდისთვისაც მოიცალოს თუ, რა თქმა უნდა, ამინდმა აცალა. ახლა ყველაფერი ამინდზეა დამოკიდებული.

# გზებისთვის გამოყოფილი ფული ნაციონალებს ხმარდებათ

ქეთი ხომერიკი

„თავისუფალი საქართველოს" კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, გიორგი მოსიაშვილი ირწმუნება, რომ უხარისხო გზას ნაციონალური მოძრაობის დაფინანსების ხარჯზე ვიღებთ. მოსიაშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც დაასახელა ის კომპანიები, რომლებიც ახდენენ რეგიონებში ინფრასტრუქტურის სამუშაოებს და მათ ეს ბედნიერება მხოლოდ იმიტომ ხვდათ წილად, რომ აქტიურად არიან ჩართული ნაციონალური მოძრაობის დაფინანსებაში.

როგორც მოგეხსენებათ, გასული 2010 წელი საქართველოსთვის იყო საარჩევნო წელიწადი, ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, სადაც თვალშისაცემი გამარჯვებით ადგილობრივ მმართველობაში კიდევ 4 წლით დარჩა პოლიტიკური პარტია ნაციონალური მოძრაობა. — ალბათ, უცხო არავისთვის არაა ის ფაქტი, რომ ნაციონალური მოძრაობას დიდი გარჯა არ უხდება სპონსორების ძებნაში, მათ ეს პრობლემა ნამდვილად არ აწუხებთ. საკითხავი ისაა, თუ რის ფასად ხდება მმართველი ძალის პოლიტიკური ფრთის დაფინანსება, — განაცხადა მოსიაშვილმა. მოსიაშვილის მტკიცებით, დაფინანსების წყაროთა ინტერესი ძირითადად ხელისუფლების კეთილგანწყობის მოპოვებაა, მაგრამ არსებობენ ისეთი მოხალისეები, რომელთა დევიზი მხოლოდ კეთილგანწყობით არ შემოიფარგლება. — კეთილგანწყობას მათ ერთი მოთხოვნაც დაამატეს, ესაა „შენც ჩუ და მეც ჩუ". უფრო კონკრეტულად კი მოგახსენებთ, რომ მაგალითად, ისეთი კომპანიები, რომლებიც ახდენენ რეგიონებში ინფრასტრუქტურის სამუშაოებს, აქტიურად არიან ჩართული ნაციონალური მოძრაობის დაფინანსებაში. ასეთი კომპანიების ჩამონათვალი დიდია, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: საგარეჯოში მდებარე შპს „კავკასავტომაგისტრალმა" 2010 წლის 31 მაისს სახელისუფლო პარტიას 80 ათასი ლარი შესწირა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო ფონდში არჩევნების მეორე დღეს — 31 მაისს თანხები ჩარიცხეს: შპს „ლოჭინმა" — 80 ათასი ლარი; შპს ავტობანმა — 60 ათასი ლარი, სს „თბილისმა" — 60 ათასი ლარი; შპს გზამშენი-4-მა — 70 ათასი ლარი; შპს საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის სამსახურმა — 50 ათასი ლარი, — განაცხადა მოსიაშვილმა. მისივე თქმით, შპს საგზაო სამშენებლო კომპანია — „სერპანტინი" თელავშია რეგისტრირებული და გახლავთ ის ძირითადი კომპანია, რომელიც კახეთში და მათ შორის თელავში გზების და ინფრასტრუქტურის სამუშაოებს აწარმოებს. აღნიშნულმა კომპანიამ გასულ წელს, მაშინ, როდესაც ამ კომპანიამ აწარმოა თელავში გზების კაპიტალური თუ ორმოული შეკეთებები, ნაციონალურ მოძრაობას ჩაურიცხა არჩევნებში გამარჯვებისთვის 50.000 ლარი, ირწმუნება მოსიაშვილი. მისივე თქმით, ერთი წლის გასვლის შემდეგ საგზაო კომპანიის „სერპატინის" მიერ დაგებული გზები სრულად თუ არა, უმეტესი ნაწილი უკვე მწყობრიდანაა გამოსული. — თელავის აბსოლუტურად ყველა გზას გააჩნია სერიოზული ხარვეზი, გზებზე მოძრაობა გართულებულია, დაზიანებული და აყრილია ასფალტის დიდი ნაწილი.

— პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფალი საქართველომ" ამ დარგის სპეციალისტებთან ერთად შევისწავლეთ გზის ხარისხი, ასფალტის სისქე და დაგების მეთოდი, რამაც მოგვცა უარყოფითი პასუხი, უმრავლეს შემთხვევებში გზები ისეა დაგებული, რომ წვიმის შემთხვევაში წყალი არა გზის ნაპირებში, არამედ შუა გზაზე მიედინება, რაც საბოლოო ჯამში იძლევა გზის დაზიანების გამოწვევას, ასევე წვიმიან ამინდში ქმნის აშკარა საშიშროებას უსაფრთხო მოძრაობისთვის, — განაცხადა მოსიაშვილმა. მისივე თქმით, ამ ყველაფრის შემდეგ ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, რატომ დუმს ხელისუფლება? — პასუხი გაცილებით მარტივია, მათ მიიღეს მათგან ის, რაც უნდა მიეღოთ არჩევნებისთვის. საბოლოო ჯამში, კი დაზარალდა მოსახლეობა, რომლის მიერ ბიუჯეტში შეტანილი მილიონობით ლარი მიაქვს გზაში გადაყრილ წყალს, — აღნიშნა მოსიაშვილმა.

# მიტინგის დარბევისას სპეცრაზმელები ამბობდნენ, გაჩეჩილაძე უნდა ჩავაძაღლოთო

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მომიტინგემ უთხრა ორ ზონდერს, ყოფილი პოლიციელი ვარ, ნუ გამიმეტებთო, თუმცა, კარგა ხანს სცემდნენ, თანაც ძალიან გამეტებით. მივხვდი, რომ ჯოჯოები „ლახმაჩები" იყვნენ და არა პოლიციელები (ღირსება დაკარგული ყოფილი „პრესტუპნიკები", ყველა რომ ეზიზღებათ, საკუთარი თავის ჩათვლით). მუხლამდე ტალახში ვეგდე, თავზე მაწვიმდა, მაკანკალებდა სიცივისაგან. შემდეგ მომბეზრდა ტალახში გდება. ავდექი, ამოვძვერი, წინ გავიხედე და ვხედავ „პლაშიანი" პოლიციის ფორმიანი კაცები მიყურებენ. შიშმა შემიპყრო, უფალს შევთხოვე გადამარჩინე-მეთქი. ასევე წმინდა ნიკოლოზის სასწაულმოქმედს ვთხოვე, რომ ეშველა ჩემთვის.

პოლიციელ კაცებს ჯიქურ მივადექი და ვუთხარი: შვილებო, ვერ მეტყვით ტაქსი სად მოვნახო-მეთქი? ერთ-ერთმა ხელი გადამხვია და მითხრა: ბიძაჩემო, აი, მხოლოდ ამ გზით წადი და გააღწევ აქედანო. გაგიკვირდებათ და თორმეტივე კაცი თანაგრძნობით მიყურებდა. მივხვდი, რომ ის ბიჭები იმათი შთამომავლები იყვნენ, ვინც 9 აპრილს მიცავდნენ. ბიჭს ვუთხარი: გმადლობთ! შენს გამზრდელს ვენაცვალე-მეთქი, რა გქვია შვილო-მეთქი? მან მიპასუხა: „ნიკა". ალბათ, მიხვდით, რამაც გადამარჩინა. სახლში სველი, ტალახში ამოთხვრილი, ნატკენი სისხლიანი ფეხით, მაგრამ უზომოდ ბედნიერი მივედი იმით, რომ დავინახე, რომ პოლიციაშიც ყოფილან კაცები და სინდის-ნამუს შერჩენილი ადამიანები.

# რესპუბლიკელები „თბილისის წყლის" წინააღმდეგ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ქმდებების განხორციელებას.

— რესპუბლიკური პარტია მოითხოვს, თბილისის საკრებულომ დაუყოვნებლივ გამართოს „თბილისის წყლის" კომპანიის წარმომადგენელთა მოსმენა, ხოლო თბილისის მერმა დაიწყოს სამართლებრივი პროცედურები კომპანიის წინააღმდეგ, — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „თბილისის წყლის" კომპანიამ გადაწყვიტა, თბილისის შემოგარენში მდებარე სოფლებისთვის, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების გადაწყვეტილებით დედაქალაქის საზღვრებში მოექცა, წყლის გადასახადის ამოღების ახალი მეთოდი დაამკვიდროს. „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერმა" გადაწყვიტა, მოსახლეობიდან სოლიდური თანხები ამოიღოს და, ასე ვთქვათ, მარტივად გამდიდრდეს. რაც შეეხება თავად „თბილისის წყლის" „ნოვატორულ" გადაწყვეტილებას, ეს მარტივად ასე გამოიყურება — თუკი წყალს სვამ და ეს წყალი მოდის თუ არა შენს ონკანში, გადასახადი მაინც უნდა გადაიხადო. ეს თანხა კი სოფელ დიღმის მოსახლეობისთვის დარიგებული ქვითრების თანახმად, რომელიც დღეს საბურთალოს რაიონის საზღვრებშია, 500-დან 1200 ლარამდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ სოფელი დიღომი მუდმივად უჩიოდა წყლის პრობლემას და ეს კარგად არის ცნობილი როგორც პარლამენტის საბურთალოს დეპუტატ გიორგი მელაძისთვის, რომელიც პარლამენტში მოკალათების შემდეგ დიღმის ტერიტორიაზე მხოლოდ პიარ-განცხადებებისთვის ჩნდება გიგი უგულავასა თუ პრეზიდენტის ფონზე, ისე საკრებულოს დეპუტატ ნინო თევდორაძისთვის. ამის მიუხედავად, მოსახლეობის პრობლემებით არც ერთი მათგანი არ დაინტერესებულა.

დიღმელები აცხადებენ და ეს ფაქტია, რომ წლების განმავლობაში სოფელს წყლის პრობლემა ჰქონდა და დღეს წყალს მხოლოდ სამ დღეში ერთხელ იღებენ. ეს წყალის უფრო ტექნიკურია, ვიდრე სასმელად ვარგისი, რადგანაც წყლის მიწოდება ჟანგიანი მილებით ხდება, წყლის დაქლორვა კი ბოლოს როდის მოხდა, ეს, ალბათ, აღარც თავად იმათ ახსოვთ, ვისაც ეს ევალება.

მოსახლეობას აინტერესებს, საიდან დაადგინა ამხელა თანხა დავალიანებად კომპანიამ და რა ემუქრება მოსახლეობას გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში.

როგორც დიღმის მცხოვრებნი აცხადებენ, ისინი უკანონოდ მიწერილი წყლის დავალიანების გადახდას არ აპირებენ და დეპუტატებს მათი ინტერესების დაცვისკენ მოუწოდებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც იმას გამორიცხავენ, რომ დეპუტატის გამოწვევის საკითხი დააყენონ.

# მამუკა გამყრელიძე ჩინეთში ელჩად ინიშნება

ნანა მიშელაშვილი

**მამუკა გამყრელიძე ჩინეთში საქართველოს ელჩად ინიშნება. მისი კანდიდატურა პრეზიდენტმა პარლამენტს უკვე წარუდგინა. მამუკა გამყრელიძე „რუსთავი 2“-ის გადაცემა „ვის უნდა 20 ათასის“ წამყვანია.**



მამუკა გამყრელიძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, იყო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი საწარმო „ინტელექტის“ გენერალური დირექტორი. ასევე მუშაობდა: შპს „კონიმექსის“ გენერალურ დირექტორად, შპს „ნიკიტსკიე ვოროტას“ გენერალურ დირექტორად, შპს „ნოვაია სლობოდას“ გენერალურ დირექტორად. 2010 წლიდან დღემდე არის შპს „გლობალ მედია ჯგუფის“ დირექტორი. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

მამუკა გამყრელიძის კანდიდატურაზე ჯერ საპარლამენტო კომიტეტები იმსჯელებენ, შემდეგ კი სესიაზე უყრიან კენჭს. მამუკა გამყრელიძის კანდიდატურას ან პარასკევის სხდომაზე უყრიან კენჭს, ან რიგგარეშე სესიაზე.

საქართველოს ახალი ელჩი ეყოლება დანიაში. დანიის სამეფოში საქართველოს ახალი ელჩი ნიკოლოზ რთველიაშვილი იქნება.

დანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნიკოლოზ რთველიაშვილის კანდიდატურა პრეზიდენტმა პარლამენტს უკვე წარუდგინა. რთველიაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ დეპუტატებს დავით ბაქრაძემ აცნობა.

ნიკოლოზ რთველიაშვილი სხვადასხვა წლებში მუშაობდა: საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო ნატოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, 2008 წლიდან დღემდე არის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი. ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

საპარლამენტო კომიტეტებში მსჯელობის შემდეგ რთველიაშვილის კანდიდატურაზე სესიაზე იმსჯელებენ. რთველიაშვილის კანდიდატურას ან პარასკევის სხდომაზე უყრიან კენჭს, ან რიგგარეშე სესიაზე.

რაც შეეხება რამდენიმე ქვეყანას, იქ ელჩების გადანიშვნა მოხდება. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ფინეთსა და სლოვენიაში ელჩების თავიდან გადანიშვნა მოხდება. ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების გამო ელჩების აკრედიტაციის წესი შეიცვალა, რის გამოც აუცილებელი გახდა ელჩების თავიდან გადანიშვნა.

დავით ბაქრაძის განმარტებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან თხოვნა იყო, რომ რადგან ელჩების მხოლოდ გადანიშვნა ხდება საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით, სამი ელჩის თბილისში ჩამოსვლა სავალდებულო არ იყოს.

დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობა გიორგი ბადრიძეს უკავია, ფინეთის რესპუბლიკაში — კონსტანტინე ქავთარაძეს და სლოვენიის რესპუბლიკაში — ალექსანდრე ნალბანდოვს.

# უფლებადამცველი ქალები საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ

უფლებადამცველი ქალები წელს, 26 მაისს თბილისში რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ.

როგორც გუშინ „ქართული აკადემიის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე უფლებამდაცველებმა განაცხადეს, კომისიის მუშაობაში უნდა ჩაერთონ უფლებადამცველები, საზოგადოებისთვის ნდობით აღჭურვილი მიუკერძოებელი პირები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

— 2011 წლის 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ხელისუფლება არაადამიანური სისასტიკით გაუსწორდა მშვიდობიან მომიტინგეებს. ჩვენ, საქართველოს ქალებმა გავაპროტესტეთ ძალადობის, სისასტიკის, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისკენ მიმართული ხელისუფლების ქმედებები და მივმართეთ პარლამენტს ამ ტრაგედიის სამართლიანი გამოძიების ჩატარებისა და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით. ჩვენ — საქართველოს ქალები მივიჩნევთ, რომ მხოლოდ სამართლის უზენაესობასა და კანონისადმი პატივისცემას შეუძლია უზრუნველყოს პიროვნების თავისუფლება და ადამიანთა თანაარსებობა ძალადობის გარეშე. ამიტომ ჩვენ კვლავ მოვითხოვთ: საპარლამენტო კომისიის შექმნას 26 მაისს მომხდარი ძალადობის გამოძიების მიზნით და აგრეთვე კომისია შედგეს: ქართველი უფლებადამცველების, საზოგადოებისთვის ნდობით აღჭურვილი მიუკერძოებელი პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით და გამოვლენილ იქნეს ყველა დანაშაულებრივი ფაქტი; პოლიტპატიმრების (უკანონოდ დაპატიმრებულ პირთა) დაუყონებლივ გათავისუფლებას და დაკარგულ პირთა მოძებნას. 3. პოლიტიკური რეპრესიების, ღირსების შემლახავი მოპყრობის შეწყვეტას, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ: ნინელი ჭანკვეტაძე („ქართული აკადემია“), აველინა დავითულიანი (ქალთა მოძრაობა „თამარიონი“), მანანა ბიწაძე-მიქელაძე (ქალთა მოძრაობა „თამარიონი“), ლეილა ინჯია (ქალთა მოძრაობა „თამარიონი“), ეკა ბესელია („სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“), ნათელა მაჭავარიანი (საკრებულოს წევრი), მანანა კობახიძე (საზოგადოებრივი დამცველი), ლია ხიდაშელი (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ცენტრი), ია მეტრეველი („გადაარჩინე სიცოცხლე“), ნინო ბაბუნაშვილი (ქალთა მოძრაობა-„ თამარიონი“), ბაია ამაშუკელი (ქალთა მოძრობა „თამარიონი“), ნანა ჩიქოვანი (ჟურნალისტი), თინიკო ნიბლოშვილი („არა!“), ნანა შონია (მსახიობი), თამარ კიკნაძე (ქალები — საუნივერსიტეტო განათლებით), მანანა გაბელია — („დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა“), ლია ნიკოლაიშვილი — („საქართველოს პედაგოგთა ასოციაცია“),გალინა ოზიაშვილი („ვეტერანები — ვეტერანებისათვის“).

მედიანიუსი

# „ჩვენ თვითონ“ საქონლის ვაქცინაციის დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვს

პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ სურსათის უვნებლობის სააგენტოს შინაური საქონლის დაუყოვნებლივ ვაქცინაციისკენ მოუწოდებს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ წარმომადგენელმა გიორგი ხოკერაშვილმა განაცხადა, იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქონლის დროულ ვაქცინაციას არ უზრუნველყოფს, ინფექციურ დაავადებების გავრცელებასთან დაკავშირებით, სოფლის მოსახლეობა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. მისი თქმით, ერთი კვირის წინ, კასპის რაიონში, სოფელ კავთისხევში, საქონელი „თურქულით“ დაავადდა.

— საქონლის დაავადების შემთხვევები წითელწყაროსა და ჩარგალშიც დაფიქსირდა. მსხვილფეხა საქონელთან ერთად, წვრილფეხა საქონელიც დაავადდა, რაც ნიშნავს, რომ დაავადებული ცხოველების არც ხორცი და არც რძე არ არის ვარგისი, — აღნიშნა ხოკერაშვილმა.

მისი თქმით, წელს ევროსაბჭოს მხარდაჭერით, სურსათის უვნებლობის სააგენტომ ვაქცინაცია მხოლოდ საზღვრისპირა რეგიონებში ჩაატარა.

— რაც შეეხება ფერმერებს და სოფლის მოსახლეობას, სააგენტო თვლის, რომ მათ თავად უნდა გადაწყვიტონ ეს პრობლემა. ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფმა სოფლის მოსახლეობამ, როგორ უნდა გაართვას თავი ამ პრობლემას? მითუმეტეს, როცა ეს არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის პრობლემა, — განაცხადა ხოკერაშვილმა.

მედიანიუსი

# აქციების დრო დამთავრდა

## ოპოზიციური რვიანისგან შედეგს უცებ არ უნდა ელოდოთ

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერ ინგა გრიგოლიასთან



***— ინგა, დიდი ვნებათაღელვაა რვიანის გარშემო ატეხილი, საზოგადოების ინტერესიც დიდია, საუბრობენ იმის შესახებ, რომ რვიანში განხეთქილებაა, რომ რვიანი იშლება. თქვენ, როგორც რვიანში შემავალი პარტიის წევრი, რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?***

— ნომერი პირველი, შემიძლია გითხრათ, რომ რვიანი არ იშლება და არა მარტო არ დაშლილა, არამედ გუშინწინ პირადად მე ვიყავი, ჩვენს ოფისში იყო რვიანის შეხვედრა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემაზე, მედია მიმართულების თემაზე, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით უფრო დეტალურად მოგახსენებთ. მანამდე, რვიანი ნამდვილად არ დაშლილა და არც დგას დღის წესრიგში რვიანის დაშლა. უბრალოდ, აზრთა სხვადასხვაობა, რომელზეც იყო ამ ბოლო პერიოდში საუბარი, რომ რვიანში შემავალ სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებს აქვთ თავისი დამოკიდებულებები მთელ რიგ პროცესებთან დაკავშირებით, ეს ბუნებრივიცაა. მე მინდა თქვენთან კიდევ ერთხელ განვმარტო, რისთვის შეიქმნა და რა წარმონაქმნია ზოგადად ეს რვიანი. ეს არ არის რაღაც კოალიცია, ეს არ არის რაღაც გაერთიანება არჩევნებისთვის, რომ ჩვენ, დავუშვათ, ერთ ბლოკად გავიდეთ, ერთ პარტიად გავიდეთ და ა. შ. არჩევნებში. ეს არის უბრალოდ ჩვენი დამოკიდებულება ამ რვა პარტიისა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში აუცილებლად უნდა შეიცვალოს რეჟიმი არჩევნების გზით. ჩვენ დავსხედით, რომ ერთობლივად რამენაირად მივაღწიოთ იმას, რომ შეიცვალოს საარჩევნო გარემო. სხვა დანარჩენი არც კი განიხილება. სხვების სახელით ვერ გეტყვით, მაგრამ ქრისტიან-დემოკრატების გზა ყველასთვის ცნობილია, ყოველთვის დამოუკიდებლად, ყოველგვარი კოალიციებისა და რაღაცა საარჩევნოდ შექმნილი გაერთიანებების გარეშე გადის ხოლმე არჩევნებზე ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. მე არ ვიცი რა იქნება მომავალში, მაგრამ დღის წესრიგში არც კი დგას და არც კი დამდგარა, არც კი განვიხილავთ რაიმე ტიპის გაერთიანებას თუნდაც კოალიციის სახით წინასაარჩევნოდ. ანუ ამითი იმის თქმა მსურს, რომ არსებობს განსხვავებული აზრები და ეს კარგიც არის. ცოცხალი ორგანიზმია, რვა პოლიტიკური პარტია ზის ერთად და ცდილობს მიაღწიოს საარჩევნო გარემოს ცვლილებებს და, რასაკვირველია, ამ რვიდან რვავეს ექნება სხვადასხვა ხედვა. ჩვენ გვაქვს ჩვენი სხვადასხვა ხედვა, ჩვენ გვაქვს ჩვენი სხვადასხვა გზა, მაგრამ არის ერთადერთი, მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც გვაერთიანებს, რვავე პოლიტიკურ პარტიას მიაჩნია, რომ ხელისუფლების ცვლილება უნდა მოხდეს არჩევნების გზით, ოღონდ უნდა შეიცვალოს ამისთვის საარჩევნო გარემო. აი ეს არის ის ყველაფერი, რამაც გამოიწვია დაბნეულობა, იმიტომ, რომ გაკეთდა განცხადებები ერთი მხრივ ქუჩის აქციებში მონაწილეობისა და არ გამორიცხვის თაობაზე. სხვა პარტიის მხრიდან გაკეთდა კომენტარი, რომ ისინი არ აპირებენ ქუჩის აქციებში მონაწილეობას. ქრისტიან-დემოკრატებსაც ჰქონდათ თავისი დამოკიდებულება, რომ ეს არ არის რაღაცა ტიპის გაერთიანება, არამედ არის მხოლოდ საარჩევნო. ეს არის ბუნებრივი. არის რვა პოლიტიკური პარტია და ვინაიდან ჩვენ არ ვართ კოალიცია და არ ვართ ერთი წარმონაქმნი, ბუნებრივია, იქნება აზრთა სხვადასხვაობა.

***— რაც შეეხება სამოქალაქო აქტივობას და ქუჩის აქციებს, როგორია ამ საკითხზე ქრისტიან-დემოკრატების პოზიცია?***

— ამ შემთხვევაშიც მე კვლავ შემიძლია ქრისტიან-დემოკრატების სახელით ვისაუბრო, არის ის, რომ ყოველთვის მოლაპარაკების მაგიდასთან ვცდილობთ გადავაწყვეტინოთ ხელისუფლებას ესა თუ ის პრობლემა. ამიტომაც ავირჩიეთ თავიდანვე ეს გზა სხვებისგან განსხვავებით, ძალიან არაპოპულარულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდნენ ამის გამო, მაგრამ შევიდნენ პარლამენტში, ვინაიდან ჩვენი გზა არის ის, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მაგიდის გარშემო. თუმცა მე ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რომ ჩატარდეს ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის რაიმე ტიპის საპროტესტო აქცია. სხვათა შორის, საპროტესტო აქციებზე არასოდეს არ უთქვამს უარი ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, უბრალოდ, როდესაც შენ გყავს დიდი წარმომადგენლობითი ფრაქცია პარლამენტში, ასევე როცა გყავს ფრაქციები ქვეყნის ყველა საკრებულოში, რასაკვირველია, აღარ დგება დღის წესრიგში ქუჩიდან ბრძოლა, რადგან ჩვენ შეგვიძლია ბრძოლა ლეგიტიმური ტრიბუნიდან. მაგრამ თუკი იქნება საჭირო ხელისუფლებაზე ზეწოლა, იგივე რვიანის ფარგლებში, ზოგი ვინც არ არის პარლამენტში, ზოგი შეიძლება ქუჩიდან დაუპირისპირდეს ხელისუფლებას და ზოგი თვითონ შიგნით პარლამენტიდან და საკრებულოებიდან, ეს მაინც ერთობლივ სქემაში ჯდება. მე რომ მკითხოთ, საპროტესტო აქცია კონკრეტულ თემაზე უნდა იყოს და არა დათქმულ თარიღებზე, რომ ახლა აუცილებლად 25-ში მე მიშას გადავაგდებ, არა ასეთი საპროტესტო აქცია, არამედ ძალა რომ აჩვენო, ერთობის ძალა, რომ დავუშვათ, საარჩევნო გარემოს დათმობაზე რომ წამოიყვანო ხელისუფლება, ამაში არაფერი ცუდი არ არის. ასეთი ტიპის აქციის გამართვის შემთხვევაში, შეიძლება მე თვითონაც გავსულიყავი და მიმელო ასეთ აქციაში მონაწილეობა. თუმცა ზოგადად ქუჩის აქციები და საპროტესტო აქციები ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა მორჩეს. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ საბოლოოდ თუ არა, ძალიან დიდი ხნით მაინც დამთავრდა. მე ვგულისხმობ იმ მოვლენებს, რასაც ერქვა მაისის მოვლენები. აქედან გამომდინარე ყველას აქვს თავისი გზა. მთავარია, რომ ჩვენ მივაღწიოთ შედეგს. ვინც არის პარლამენტში, ის დავუშვათ პარლამენტიდან შეეცდება ამ სიტუაციაში გამოსავლის მოძებნას, ვინც არის გარეთ, შეიძლება ქუჩის აქციებით.

***— ასევე ახალმა მემარჯვენეებმა გააკეთეს განცხადება ინდივიდუალურ მოლაპარაკებებზე...***

— არც ამაში არ არის არაფერი ტრაგედია იმიტომ, რომ სწორედ მოლაპარაკებების გზით უნდა მივიღოთ შედეგი. მე შეგახსენებთ, რომ ყველაზე რადიკალური ოპოზიციაც კი, ყველაზე კრიზისულ პერიოდში, პოლიტიკური მუხტი, როდესაც იყო პიკში, იგივე აპრილის აქციების დროს, წავიდა და შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვდა სააკაშვილს. მე შეგახსენებთ ლევან გაჩეჩილაძიდან დაწყებული, სალომე ზურაბიშვილით დამთავრებული,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# აქციების დრო დამთავრდა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

როგორ იღებდნენ ამაში მონაწილეობას. თავისთავად რაც არ უნდა კრიზისული იყოს სიტუაცია, მოლაპარაკება არის ყოველთვის მნიშვნელოვანი. ამაზე მეტყველებს თუნდაც შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრა, რადიკალებსა და ხელისუფლებას შორის, რომელიც არც არანაირი შედეგით არ დამთავრებულა, მაგრამ როგორც წესი, საბოლოოდ მაინც მივიდნენ აქამდე. ამიტომ ინდივიდუალური მოლაპარაკების რეჟიმიც უნდა შენარჩუნდეს, რვიანის ერთობლიობაც უნდა შენარჩუნდეს, სულისკვეთება არჩევნების გაუმჯობესებისთვის. ჩვენ ამისთვის ძალიან ქმედითი ნაბიჯებიც გადავდგით, გახსოვთ ალბათ, დაახლოებით სამი კვირის წინ გაკეთდა განცხადება, მოწოდება სამოქალაქო აქტიურობის შესახებ და ამისი ერთ-ერთი პირდაპირი დადასტურება იყო რამდენიმე დღის წინ მნიშვნელოვანი შეხვედრა მედიის საკითხებზე მედია ექსპერტებთან, რომელიც არის რვიანისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა. ჩემი აზრით, მედია მიმართულება არის ერთ-ერთი პირველი, თუ ყველაზე მთავარი თემა არა, იმიტომ, რომ თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ მედიის განთავისუფლებას იმ ცენზურისგან, იმ ზეწოლისგან, რაშიც რეჟიმი აცხოვრებს ქვეყანას, მაშინ არჩევნებში მონაწილეობაც შეიძლება აზრსაც კარგავდეს, იმიტომ, რომ ჩვენ არ გვექნება კონკურენტუნარიანობისთვის შესაბამისი გარემო. შენ რომ არჩევნების დროს გაშუქებენ და ათი წამით გადის შენი ინტერვიუდან ამონაგლეჯი და ვითომ ბალანსის დაცვაზე რომ გველაპარაკებიან, მერე ეს არ შველის საქმეს. მარტო არჩევნებზე მონიტორინგი უცხოური ორგანიზაციების მხრიდან, არ შველის საქმეს. ამომრჩეველი თავის არჩევანს აკეთებს გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე დადგება არჩევნების დღე. არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება და, შესაბამისად, ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მინიმუმ ერთწლიანი მონიტორინგი მაინც რომ იყოს შესაძლებელი მედია გაშუქებაზე და ასევე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენ რაც შეიძლება დიდი დოზით მივიღოთ პირდაპირი ეთერი, თუნდაც იგივე საზოგადოებრივი მაუწყებლით. სწორედ იმ დღეს მედია ექსპერტებთან შეხვედრისას რვიანი ჩამოყალიბდა იმ თემაზე, რომ უახლოეს დღეებში უნდა მივმართოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს და ჩვენ ვაპირებთ მათთან შეხვედრას სწორედ ამ თემის ირგვლივ.

***— საუბრისას აღნიშნე, რომ რადიკალების შეხვედრა სააკაშვილთან უშედეგოდ დასრულდაო. რისი იმედი გაქვთ ახლა, რას დაგითმობთ ხელისუფლება და რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი?***

— ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს შედეგი იყოს. მე ადრეც გითხარით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენთვის ამ მხრივ არის საერთაშორისო მხარდაჭერა. ანუ ის, რომ ამ რვიანის აქტიურობებს, შეხვედრებს და მოლაპარაკებებს ძალიან სერიოზულად მხარს უჭერს დასავლეთი და დიპლომატიური კორპუსები, რომელთანაც აქტიური შეხვედრები მიმდინარეობს რვიანის სუბიექტების, ეს არის ჩვენთვის გარანტია. რასაკვირველია, ჩვენთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ალბათ არ დათმობს ხელისუფლება, მაგრამ უნდა დავათმობინოთ. და კიდევ ერთი, თქვენ მკითხეთ საუბრის დასაწყისში, რომ საზოგადოების ყურადღება მთლიანად რვიანისკენ არის მიპყრობილიო. საერთოდ, ზოგადად ჩვენი საზოგადოების კატეგორიული აზროვნება და კატეგორიული დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესების მიმართ, მეტისმეტად დამძიმდა. კატეგორიულად, დღესვე, როდესაც გთხოვენ მოქმედებას, დამაბნეველია ხოლმე. დღესვე დამთავრებაც, დღესვე ქმედებაც, აკეთებენ ამ თემაზე განცხადებას ის რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც ამა თუ იმ თარიღს წინასწარ აანონსებენ ხოლმე, რომ მიშა დამთავრდება და საბოლოო ჯამში მთავრდება ხოლმე საპროტესტო გამოსვლები და მიშა უფრო და უფრო ძლიერდება. მე, მაგალითად, სულ არ მიმაჩნია გამოსავლად ის, რომ დღესვე, სასწრაფოდ, რადგან საპროტესტო აქციების დრო წავიდა, მაშინ დღესვე რვინმა უნდა დადოს შედეგი. რას ნიშნავს დღესვე? ეს არის ძალიან სერიოზული სამუშაო, ჩვენ ძალიან სერიოზული საარჩევნო კამპანია გვაქვს ჯერ დასაგეგმი და განსახორციელებელი და მერე მოსაგები. მე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ნორმალური არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ოპოზიციას ეძლევა შანსი, რომ მოვიდეს საპარლამენტო უმრავლესობით. რაიმე ტიპის გაერთიანებაზე, რაიმე ტიპის კოალიციაზე მერე შეიძლება საუბარი. თუ ჩვენ ჩავატარებთ ნორმალურ საარჩევნო კამპანიას და ჩვენ მივალთ არჩევნებამდე ნორმალურად და ხალხის მთელ საპროტესტო დამოკიდებულებას მივმართავთ არჩევნებში, რომ უთხრან უარი ნაციონალურ მოძრაობას და არა არჩევნების ბოიკოტირებას. მაშინ მართლა არის შანსი, რომ მომავალ პარლამენტში უმრავლესობა იყოს ოპოზიციური კოალიცია. არა რომელიმე პარტია, არამედ ოპოზიციური კოალიცია. თორემ დღეს ჩვენ საერთოდ არ განვიხილავთ არანაირი გაერთიანებების თემას.

***— თავადვე აცხადებთ, რომ საკმაოდ მცირე დრო რჩება არჩევნებამდეო, რამდენად არის იმის შანსი, რომ მოესწროს ეს ცვლილებები? გამოითქვა ვარაუდები, რომ შესაძლოა სულაც ძველ გარემოში მოგვიწიოს არჩევნების ჩატარება...***

— იცით რა, ალბათ რომ დავაყოლოთ წინ ყველა ფრაზას, მივიღებთ ალბათობის თეორიას. არ ვიცი, წინასწარ ამაზე საუბარი ნაადრევია. ფაქტია, რომ ხელისუფლება ბევრს არაფერს არ თმობს, მაგრამ ჩვენთვის, ნებისმიერ შემთხვევაში, უკვე მზადება არის დაწყებული მომავალი არჩევნებისთვის. მე, მაგალითად, ასე წარმომიდგენია, რომ სექტემბრიდან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი პარტია აქტიურ წინასაარჩევნო რეჟიმში გადადის და ალბათ ძალიან ბევრი პარტია, ვისაც აქვს იმისი ამბიცია, რომ მომავალი არჩევნები ძალიან სერიოზული შედეგით დაასრულოს. შესაბამისად, წამოვა თუ არ წამოვა ხელისუფლება რაიმე ტიპის დათმობაზე, ამას გვაჩვენებს მომავალი, მაგრამ ჩვენ ამის გამო უარი არ უნდა ვთქვათ მათთან არც მოლაპარაკებაზე, არც ჩვენი ინიციატივების შეთავაზებაზე და არც იმ ბრძოლაზე, რასაც ჰქვია საარჩევნო გარემოს ცვლილება. პირველი ამ კუთხით ჩემთვის მაინც რჩება მედია თავისუფლება, იმიტომ, რომ თავისუფალი მედიის არ არსებობის შემთხვევაში, არჩევნებში გამარჯვების შანსი ოპოზიციის ათიდან 1%-მდე დადის, ხოლო თუ ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენს ამომრჩეველს შევხვდეთ პირისპირ, ანუ ეთერი გვქონდეს თავისუფალი და არა მიმონტაჟებულ-დაჩეხილი, გაუგებარი რეპორტაჟები, მაშინ ჩვენ გვექნება გამარჯვების შანსი. რეგიონებში არანაირი ინფორმაცია არ შედის. რეგიონები ძნელად დასაპყრობი ყამირია. თბილისში, ასე თუ ისე, მაუწყებლობა არის და მეტნაკლებად პრესაც უფრო ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. იქ ინფორმაცია საერთოდ არა აქვთ. მე გაგახსენებთ, სააკაშვილმა თბილისი წააგო და რეგიონების ხარჯზე გახდა პრეზიდენტი. თუ ჩვენ არ მივმართავთ მთელ ძალისხმევას რეგიონებისკენ, შესაძლოა ნაცმოძრაობამ გვითხრას, რომ შესაძლოა თბილისი თქვენ მოიგეთ, მაგრამ ჩვენ რეგიონების ხარჯზე მოვიგეთო. იცით როგორი უცნაურობა მოხდა, ამას წინათ მე და გიორგი თარგამაძე ვიყავით საინგილოში და როდესაც უკანა გზაზე ვბრუნდებოდით, ლაგოდეხის ერთ-ერთ სოფელში დაგვხვდა მოსახლეობა, მათ უნდოდათ ჩვენთან შეხვედრა და ისევ ეგონათ, რომ მე კვლავაც ტელევიზიაში ვმუშაობდი. გავოგნდი, მათ დღესაც კი ჰგონიათ, რომ მე ჯერ კიდევ გადაცემები მიმყავს. ანუ იმდენად არ არსებობს ინფორმაცია და იმდენად ხელმიუწვდომელია ძალიან ბევრ სოფელში და ძალიან ბევრ რეგიონში. აი, ეს უნდა დავძლიოთ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი თემა და არეალი უნდა იყოს რეგიონები.

***— ინგა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რვიანმა ლევან გაჩეჩილაძეს უარი უთხრა, რომ ჩართულიყო რვიანის საქმიანობაში. რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს ინფორმაცია?***

— მე არ ვიცი კონკრეტული მოლაპარაკებების დეტალები, მაგრამ ლევან გაჩეჩილაძე, რამდენადაც ვიცი, არასოდეს არ ემხრობოდა არჩევნებს. ანუ თავისთავად წინააღმდეგობრივი არის ლევან გაჩეჩილაძის შემოსვლა რვიანში. ძალიან კარგია ახლა, თუკი შეიცვლის აზრს და ძალიან კარგი იქნება, თუკი ახლა მაინც არჩევნებისკენ მიმართავს თავის პოლიტიკურ ენერგიებს. მაგრამ ჩვენ გვახსოვს, ლევან გაჩეჩილაძემ ადგილობრივ არჩევნებსაც ბოიკოტი გამოუცხადა, ასევე წინა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მანდატების დახევის ერთ-ერთი ინიციატორი იყო და, საერთოდ, ეს კაცი ყოველთვის ამბობდა, რომ იგი ეწინააღმდეგება ამ ქვეყანაში ყოველგვარ არჩევნებს. შესაბამისად წარმოუდგენლად მეჩვენება, როდესაც რვიანის პოლიტიკური სუბიექტები სხედან და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მიდის ლაპარაკი, იქ რა ფორმით შეიძლება ჩაერთოს ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც ყოველთვის აპროტესტებს ყველანაირი არჩევნების ჩატარებას ამ ქვეყანაში. ამიტომ ესაა ჩემი პასუხი, ეს სრულიად წარმოუდგენლად მეჩვენება. რვიანი არ შექმნილა სათამაშოდ და ვიღაცის თვალის ასახვევად. პირდაპირ გეუბნებით, ეს არ არის პოლიტიკური პოზიციების ერთობა, ეს არ არის პოლიტიკური პარტიების რაღაც კოალიცია, ან სავარაუდო გაერთიანება. ეს არის ის, რომ რვა სუბიექტი დაჯდა და უთხრეს ერთმანეთს, რომ ჩვენ უნდა მივაღწიოთ საარჩევნო გარემოს ცვლილებას და მხოლოდ ამის ირგვლივ მუშაობენ. როდესაც კითხვას მისვამ ისეთ პოლიტიკოსზე, ან ისეთ პარტიებზე, რომელთაც ყოველთვის ჰქონდათ გამოკვეთილი წინააღმდეგობა არჩევნებთან მიმართებაში, მე ვერ წარმომიდგენია მათი მონაწილეობა ამ ფორმატში.

***— როგორ ფიქრობთ, ქუჩის ოპოზიციამ მთლიანად ამოწურა ამ ეტაპზე თავის რესურსი?***

— იცით რა, არ ვფიქრობ, რომ ქუჩის ოპოზიციამ მთლიანად ამოწურა თავი. მე ზუსტად ვიცი, რომ ამ ქვეყანაში ისევ დადგება დღის წესრიგში ალბათ ქუჩაში გამოსვლები და ქუჩის ოპოზიცია, რომელიც კატეგორიულად ემიჯნება ყოველგვარ არჩევნებს, რასაკვირველია, ისევ შეეცდება ქუჩიდან თავისი გეგმის განხორციელებას; მაგრამ ფაქტი არის ერთი, რომ ჩვენ ყველამ უკვე ძალიან ბევრჯერ დავინახეთ და უკვე უხერხულიც არის, ვინმეს მხრიდან ამის მტკიცება, რომ ამ ქვეყანაში ქუჩიდან ვერ იღებენ შედეგს. სულ რომ რადიკალიზაცია მოახდინონ, რაც მოხდა კიდეც, სრული პროვოცირება იყო იმ მომიტინგეების წაყვანა, იქ დაბანაკება, სადაც რამდენიმე საათში აღლუმი უნდა გამართულიყო, შედეგად მაინც ძლიერდება ხელისუფლება. ამიტომ ჩვენ მათ უნდა დავარტყათ წელს ქვემოთ, იქ, სადაც მათი ყველაზე სუსტი წერტილია და ეს არის საარჩევნო თემა. დუბინკების ხელში ჭერა კარგად გამოსდის, მაგრამ როცა მათ დასავლეთი ელაპარაკება და მოითხოვს მათგან ღირებულებების დაცვას, რასაც ჰქვია დემოკრატიული ღირებულებები. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს როდესაც შეხვდა რომში სააკაშვილი, სწორედ იქიდან დაფიქსირდა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომ მათი სურვილია მომავალი არჩევნები საქართველოში ჩატარდეს სრული დემოკრატიული ღირებულებების დაცვით. ანუ დასავლეთი ამ შემთხვევაში მხარს უჭერს რვიანს, დასავლეთი მოითხოვს ხელისუფლებისგან, რომ არცევნები ჩატარდეს ნორმალურ საარჩევნო გარემოში. შესაბამისად ერთადერთი შანსი, რითიც ჩვენ შეგვიძლია ხელისუფლებას დავარტყათ და ეს ხელისუფლება დავამარცხოთ, არის არჩევნები. ხოლო რაც შეეხება ქუჩის აქციებს, ყოველთვის ვამბობდი და ვაფიქსირებდი, რომ პერსპექტივას ამ აქციებისას ვერ ვხედავ. მე ვხედავდი ამ აქციების პერსპექტივას თავის დროზე, მაგრამ 26 მაისის სტადიონის შემდეგ, რომელშიც ჩემი ოჯახის წევრებიც კი მონაწილეობდნენ, საქართველოში ქუჩის აქციის წარმატების შანსს ველარ ვხედავ.

# მთავრობა ზარალს ითვლის

**სტიქიის ადგილებში დეპუტატები ჩავიდნენ. სტიქიით მიყენებულ ზარალს მთავრობა დაითვლის და, თუ საჭირო გახდება, დამატებითი თანხები გამოიყოფა. გუშინ ბაქრაძის დავალებით დეპუტატთა ჯგუფი რეგიონებში იყო ჩასული და მოსახლეობას შეხვდა.**

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტის თავმჯდომარემ ბოლო დღეების განმავლობაში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა.

— მინდა მივუსამძიმრო და მწუხარება გამოვხატო გარდაცვლილთა ოჯახებისა და ახლობლების მიმართ. ვიცით, რომ კიდევ ერთი ქალბატონის ცხედარი იქნა აღმოჩენილი, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა. ძალიან დიდი ტრაგედიაა მათი ოჯახებისთვის. ამ ორი დღის განმავლობაში სიტუაცია რთული რჩება. თუმცა, დღეს საფუძველი, რომ ვივარაუდოთ მოსახლეობისთვის მყისიერი საფრთხე, არ არსებობს. მთავრობა სრული მობილიზაციით მუშაობს, მაგრამ ბევრი რჩება გასაკეთებელი სიტუაციის ნორმალიზებისთვის. ჩემი დავალებით დეპუტატთა ჯგუფი იყო რეგიონებში ჩასული და მოსახლეობას შეხვდა, — აღნიშნა გუშინ დავით ბაქრაძემ.



სტიქიის მიერ დაზარალებული მოსახლეობა ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრებმაც მოინახულეს. თარგამაძე ბიუროზე ახალი წინადადებით გამოვიდა.

გიორგი თარგამაძე ამბობს, რომ ხარაგაულის რაიონში რთული მდგომარეობაა. იქ ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად პრობლემები მოაგვაროს და, როგორც კი გამოთავისუფლდება ტექნიკა, ცენტრალური მაგისტრალიდან ხეობებში შესვლას მოახერხებენ, სადაც რამდენიმე სოფელი მოწყვეტილია რაიონს.

— მინდა მივმართო როგორც ბიუროს წევრებს, ასევე მთელ პარლამენტს და კიდევ ერთხელ შევახსენო, რამდენად მნიშვნელოვანია კარგად ჩამოყალიბებული, გააზრებული პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან და სტიქიური მოვლენების საბიუჯეტო პოლიტიკა სტიქიური მოვლენების პრევენციისთვის. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ძალიან სერიოზულად მოგვიწევს შემდგომში, როცა ეს ოპერატიული რეგირებების ფაზა გაივლის, პარლამენტში მთავრობასთან ერთად მსჯელობა, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერის თქმით, გასაგებია, რომ ბუნებრივ მოვლენებს წინ ვერაფერი დაუდგება, მაგრამ, სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო მაღალი რისკების ქვეყანაა, ამას ჩვენ პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.

გიორგი თარგამაძეს მიაჩნია, რომ მიმდინარე ბიუჯეტის მუხლები გადასახედია, მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობს და კვლავ მწირი დაფინანსებაა.

გიორგი თარგამაძეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილმა უპასუხა. მისი თქმით, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, მათ შორის კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, შიდა ქართლში სტიქიამ მოსახლეობას ზარალი მიაყენა.

— ყველა ჯგუფი ადგილზეა მობილიზებული, როგორც ადგილობრივი მმართველობის, ასევე თვითმმართველობის, ცენტარალური ხელისუფლების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე სხვა სტრუქტურების და აღდგენით სამუშაოებს ახორციელებენ. მეორე მხრივ, ხდება ზარალის დათვლა. სავარაუდოდ, ციფრებზე შეიძლება დღეს მხოლოდ საუბარი და მინდა განვაცხადო, რომ ეს თანხები საქართველოს ბიუჯეტში ამ მიმართულებით არის გამოყოფილი სალიკვიდაციო სამუშაოებზე. თუ საჭირო გახდება ამ მიმართულებით ცვლილებები, პარლამენტი ვითანამშრომლებთ მთავრობასთან, — აღნიშნა ზურაბ მელიქიშვილმა.

გუშინ ბიუროზე დავით ბაქრაძე თბილისში წყლით მომარაგების საკითხითაც დაინტერესდა. თბილისს სუფთა წყალი მიეწოდება, — ირწმუნება დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძე.

კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, დიდი სამუშაოები ჩატარდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს საათებში პრობლემა მთელი ქალაქის მასშტაბით იქნება მოგვარებული. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ტყუილია გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თითქოს წყალი დაბინძურებულია. მელაძის მტკიცებით, ასეთი პრობლემა არ არსებობს.

## გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება ზედმეტი ფულის ხარჯვად მიაჩნიათ

საქართველოს მთავრობაში პრევენციული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება ზედმეტი ფულისა და დროის ხარჯვად მიაჩნიათ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარემ ნინო ჩხობაძემ განუცხადა.

ნინო ჩხობაძის თქმით, იმისთვის, რომ სტიქიური მოვლენების დროს თავიდან იყოს აცილებული უბედური შემთხვევები, აუცილებელია მთავრობა ატარებდეს კომპლექსურ ღონისძიებებს, რაც დღეს არ ხდება. მისი თქმით, გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ მომზადებულია სტიქიური მოვლენების დეტალური აღწერა, რომელიც დარიგებულია ყველა რეგიონის ხელმძღვანელისთვის.

— მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მათი სამაგიდო წიგნია, — აღნიშნა ჩხობაძემ.

მისი თქმით, პრევენციული ღონისძიებების გატარებისას, მთავრობამ არ უნდა იფიქროს ფისკალურ ეფექტზე. ჩხობაძეს მიაჩნია, რომ რიკოთის უღელტეხილზე მეწყერის ჩამოწოლას რამდენიმე მიზეზი აქვს. კერძოდ, კლიმატური ცვლილებების შემდეგ მომატებული ტენიანობა, ასევე, სეზონისთვის არადამახასიათებელი ნალექების რაოდენობა და არასწორად გაცემული მშენებლობის ნებართვები. ჩხობაძე არ გამორიცხავს, რომ თავად რესტორანმა „რიკოთმა“ მოახდინა მეწყერის პროვოცირება. რაც შეეხება პრევენციულ ღონისძიებებს, ჩხობაძე მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს ინერტული მასალის იმ მდინარეებიდან ამოღება, სადაც დიდი რაოდენობითაა, გაიმართოსადრენაჟო სისტემა და მშენებლობის ნებართვების გაცემისას, აუცილებლად გათვალისწინებული იყოს სტიქიური საფრთხეები.

**ინტერპრესნიუსი**

# პოლონეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება

ნანა მიშელაშვილი



პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობის დასამკვიდრებლად რუსეთს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა აიძულოს.

— ამ ვალდებულებების შესრულება გულისხმობს რუსული ჯარის გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან, როგორც ამას ცეცხლის შეწყვეტაზე გაფორმებული შეთანხმება ითვალისწინებს. მაგრამ მყისიერ ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვება საქართველოს ტერიტორიაზე და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის განვრცობა საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს, რაც ასეთი პროვოკაციების ალბათობას შეამცირებდა. სწორედ ესაა ის თემა, რომელსაც მუდმივად ვაყენებთ ევროპელ პარტნიორებთან და, მათ შორის, პოლონელებთან. ამ მხრივ პოლონეთი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

ჟურნალისტებთან საუბრისას დავით ბაქრაძე ონის რაიონის სოფელ ღარში 18 ივნისს მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა, რომლის დროსაც რუსმა ოკუპანტებმა 10 ქართველი დააკავეს და ცხინვალში გადაიყვანეს. მისი თქმით, ქართული მხარე ამაზე საქმის კურსში საერთაშორისო თანამეგობრობას ჩააყენებს და მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს გამოიყენებს, დაწყებული ჟენევაში საკითხის დაყენებით და უცხოელ პარტნიორებთან იმ მყისიერი კონსულტაციებით, რომლებიც უკვე მიმდინარეობს.

ყველა სხვა მსგავსი პრობლემის მოგვარების რეცეპტი კი, ბაქრაძის თქმით — ეს არის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან რუსეთის იძულება, დაიწყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანა.

გუშინ დავით ბაქრაძე პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის თავმჯდომარე გჟეგოჟ სხეტინას შეხვდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ბაქრაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში იმყოფებიან იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომელიც სამართლიანად ითვლება ევროპაში საქართველოს გულშემატკივრად და მხარდამჭერად.

— ქართულ-პოლონური ურთიერთობები შეიძლება განხილული იყოს ნიმუშად, როგორც მოდელი მეგობრობისა და პარტნიორობის, რომელიც ვითარდება და გაგრძელდება, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკურად, ასევე სიმბოლურად, რომ პოლონეთი რჩება საქართველოს მხარდამჭერად და მის დღის წესრიგში საქართველო ძალიან აქტუალური თემაა.

— 1 ივლისიდან პოლონეთი ხდება ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა და ვფიქრობთ, რომ ეს არის სწორედ ის მომენტი და შანსი, როდესაც ჩვენი ურთიერთობა მაქსიმალურად ეფექტურად და პოზიტიურად უნდა იყოს გამოყენებული. ამაზე არსებობს ჩვენი პოლონელი მეგობრების მზადყოფნაც და ჩვენი სურვილიც, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ბაქრაძის თქმით, პოლონელ კოლეგასთან შეხვედრის დროს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ დეტალურად ისაუბრეს, კერძოდ კი იმაზე, თუ რის გაკეთება სურს ქართულ მხარეს ევროკავშირთან მიმართებით.

— წლის მეორე ნახევარში, როდესაც პოლონეთი გახდება თავმჯდომარე ქვეყანა, ეს გვაძლევს შანსს, რომ დავაჩქაროთ ყველა ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის, — აღნიშნა ბაქრაძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ პოლონეთი ევროკავშირის თავმჯდომარეობის დროს საქართველოს კარგი ელჩი იქნება ორგანიზაციაში. მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც პოლონეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახდება, მისი მთავარი პრიორიტეტი სწორედ აღმოსავლური პარტნიორობისა და იმ ქვეყნების საკითხი იქნება, რომელთაც გაწევრიანება სურთ.

— სექტემბერში ორი შეხვედრა იგეგმება. პირველი — ევროკავშირის ქვეყნების საგარეო მინისტრებისა და თვის ბოლოს აღმოსავლური პარტნიორობის პრეზიდენტების შეხვედრა, სადაც, იმედი გვაქვს, რომ საქართველოს პოზიცია კარგად იქნება გამოხატული, — აცხადებს სეიმის თავმჯდომარე და აქვე დასძენს, რომ პოლონეთი ყოველთვის მხარს დაუჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

პარლამენტის თავმჯდომარემ პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის წევრები იან ოლდაკოვსკი და მიხალ იაროსი ღირსების ორდენებით დააჯილდოვა.

# პაატა დავითაია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ინიშნება?

ნანა მიშელაშვილი



პარლამენტის ვიცე-სპიკერი, პაატა დავითაია, შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი გახდეს. კულუარული ინფორმაციით, პაატა დავითაიას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად უპირებენ დანიშვნას.

დავითაია ამჟამად საქართველოში არ იმყოფება და ამ ინფორმაციის გადამოწმება მასთან ვერ ხერხდება. ამის გამო უცნობია, მიიღო თუ არა დავითაიამ მსგავსი შეთავაზება და აპირებს თუ არა პარლამენტის დატოვებას ახალი სამსახურის სანაცვლოდ.

პოლიტიკურ კულუარებში საუბრობენ, რომ პაატა დავითაია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ ჯონი ხეცურიანს შეცვლის. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ჯონი ხეცურიანი 2001 წელს დანიშნეს. 2001-2006 წლებში ჯონი ხეცურიანი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეც იყო. 6 ივლისს ხეცურიანს 10-წლიანი უფლებამოსილების ვადა ეწურება. ამის შემდეგ ჯონი ხეცურიანის ნაცვლად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ სხვა წევრი დაინიშნება. გამორიცხული არ არის, რომ ხეცურიანი სწორედ დავითაიამ შეცვალოს.

იმ შემთხვევაში, თუ დავითაიას კანდიდატურა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად იქნა წარდგენილი, მას პარლამენტის დატოვება მოუწევს. პარლამენტის წევრობის დატოვებასთან ერთად დავითაია კიდევ ერთ თანამდებობას — ვიცე-სპიკერის პოსტს დატოვებს.

ამ პარლამენტიდან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ჯერ არავინ დაუნიშნავთ, წინა პარლამენტის დროს კი დეპუტატის საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშვნის პრეცედენტი იყო.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს 5-წლიანი უფლებამოსილების ვადა 2011 წლის სექტემბერში გაუვა. პაპუაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ 2006 წლის 29 სექტემბერს იქნა არჩეული. გამორიცხული არ არის, რომ პაპუაშვილი კიდევ ერთი ვადით იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეული. თუმცა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მმართველი გუნდი.

კიდევ ერთი დეპუტატი, რომელიც პარლამენტს დატოვებს, კონსტანტინე გამსახურდიაა. მის კანდიდატურასთან დაკავშირებით ყველაფერი უკვე გარკვეულია.

პარტია „თავისუფლების" ლიდერი, კონსტანტინე გამსახურდია, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირსა და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად ინიშნება. შესაბამისი თხოვნით პარლამენტის ბიუროს პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ მიმართა. საკანონმდებლო ორგანო აღნიშნულ პოსტზე გამსახურდიას კანდიდატურას პლენარულ სხდომაზე დაამტკიცებს.



# ვალერიან გორგილაძე — „რვიანში" შემავალ ზოგიერთ სუბიექტს ნერვებმა უმტყუნა

„რვიანის" შანსებზე, შეცდომებსა და პერსპექტივაზე, ასევე საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობის გაუმჯობესების თემაზე ხელისუფლება-ოპოზიციის მოლაპარაკების სავარაუდო შედეგებზე ინტერპრესნიუსი„ ანალიტიკური ჯგუფ ტერრა მედიას„ გენერალურ დირექტორს, სოციოლოგ ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.

***— ბატონო ვალერიან, პარლამენტმა ომბუდსმენის მოხსენებაზე დადგენილება მიიღო, უფრო სწორად, დადგენილებაში ჩაიწერა, რომ მოხსენება ცნობად არის მიღებული. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატური იყო პარლამენტის რეაქცია სახალხო დამცველის კრიტიკულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე?***

— უნდა აღვნიშნო გიორგი ტუღუშის მშვიდი, თვითდაჯერებული, კვალიფიციური და ყოველგვარ ისტერიულობას და იაფფასიან პოლიტიზაციას მოკლებული საქმიანობის სტილი. დოკუმენტი შთამბეჭდავი იყო მოცულობითაც და შინაარსობრივადაც. სამწუხაროა, რომ ომბუდსმენის მოხსენებას პარლამენტის ადეკვატური რეაქცია არ მოჰყოლია, მაგრამ ამ პარლამენტში სხვა რეაქცია წარმოუდგენელიც იქნებოდა.

პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობა უკვე დიდი ხანია, არ ასახავს საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ განწყობებს და თავისი არაპრეზენტატულობით გამოირჩევა. სწორედ ეს არის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მთავარი ამოცანა - ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო უნდა გამოხატავდეს მოსახლეობაში არსებულ ძირითად განწყობებს და ასახავდეს უდიდესი ნაწილის ინტერესებს.

***— ვითარებაში, როცა რვიანში„ შემავალი პოლიტიკური სუბიექტების ლიდერები ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებს აფიქსირებენ, თქვენი აზრით, რა ხდება „რვიანში" და რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას ხელისუფლებასა და „რვიანში" შემავალ სუბიექტებს შორის დაწყებული ინდივიდუალური მოლაპარაკებებისგან?***

— ჩემი აზრით, რვიანში„ შემავალ ზოგიერთ სუბიექტს ნერვებმა უმტყუნა. არ მესმის, რას ნიშნავს ინდივიდუალური მოლაპარაკებები რვიანის„ ფორმატში? რა იგულისხმება ინდივიდუალურ მოლაპარაკებაში? შეიძლება უფრო შორს წავიდეთ და ვიფიქროთ „რვიანის„ წარმომადგენლობის გახსნაზე ნაციონალური მოძრაობის„ ოფისში? რა თქმა უნდა, ვუტრირებ, მაგრამ ამის გარეშეც არსებული ვითარება საკმაოდ გროტესკულია. ან მაგალითად, ძნელი გასაგებია, რას ნიშნავს ნებაყოფლობითი უარის თქმა მანიფესტაციებზე, მიტინგებზე და სხვადასხვა სახის ქუჩის აქტივობებზე? ეს ხომ ხელისუფლებაზე ზეწოლის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტზე უარის თქმაა.

როდესაც მოცეკვავე ცუდად ცეკვავს, ეს სულაც არ არის მუსიკის ბრალი. შექმნილია ვითარება, როცა მუსიკას ნაციონალური მოძრაობა„ უკვეთავს. ამის ნათელი მაგალითია შესწორებები კანონში მანიფესტაციების შესახებ„, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს და ძალაში ამ კვირიდან შევა. გამოდის, რომ ნაციონალურმა მოძრაობა„ რისკი იქ დაინახა, რაზეც ზოგიერთი ოპოზიციონერი ნებაყოფლობით ამბობდა უარს. ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში დგება ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რვიანში„ შემავალი ზოგიერთი სუბიექტების კვალიფიკაციის პრობლემა.

რაც შეეხება საზოგადოების მოლოდინებს რვიანთან„ მიმართებაში. ვფიქრობ, რომ საზოგადოებას არჩევანი ელემენტარულად არც აქვს. როდესაც ერთი წლის წინ ირაკლი მელაშვილმა პრივატულად გამაცნო ის ბაზისური ინიციატივა, რომლის ირგვლივაც შემდგომში მოხდა რვიანის„ ფორმირება, მაშინვე გამოვთქვი მოსაზრება, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის რვიანსა„ და ნაციონალურ მოძრაობას„ შორის მოლაპარაკებას ალტერნატივა არ გააჩნია. მხოლოდ მოლაპარაკებების ფორმატში პოლიტიკურ ბრძოლას ექნება ლეგიტიმური ხასიათი და მხოლოდ ამგვარი ბრძოლის შემთხვევაში ექნება ოპოზიციურ სპექტრს დასავლეთის მხარდაჭერა.

***— სულ უფრო ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, რომ რვიანის„ ერთიანობა და მომავალიც ხელისუფლების შემდგომ ნაბიჯებზეა დამოკიდებული. თუ ამგვარი მტკიცება სამართლიანია, გაუგებარია, რატომ უნდა იყოს დაინტერესებული ხელისუფლება „რვიანის" ერთიანობით და იმით, რომ არჩევნებზე „რვიანს" კომფორტული პირობები შეუქმნას?***

— ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მომავალი ოპოზიციური კონფიგურაცია იქნება დამოკიდებული „ნაციონალური მოძრაობის" აქტივობებზე? ანუ, „რვიანი„ თმობს ინიციატივას? ვისარგებლებ შემთხვევით, „რვიანში" შემავალ სუბიექტებს ვურჩევდი რაც შეიძლება სწრაფად ჩამოყალიბდნენ, როგორც ერთიანი პოლიტიკური ბრენდი.

***— აშკარაა, რომ „რვიანის" კონსტრუქციულობას მოთხოვნათა სიცხადისა და პრინციპულობის დემონსტრაცია აკლია. თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო „რვიანმა" საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით თავისი პრინციპული პოზიციების ჩამოყალიბება და ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოთხოვნა?***

— „რვიანში" პრინციპული პოზიცია არსებობს და ეს პოზიცია დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბებულია ერთიან პროექტში. მეტიც, სწორედ რომ ნაციონალურ მოძრაობას„ არ გააჩნია დღემდე თავისი კონტრწინადადება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობა„ 2012 წლამდე ეწინააღმდეგება ბიომეტრიის შემოტანას საქართველოს მასშტაბით და არ აპირებს მაჟორიტარული ფორმატის რაიმე რევიზიას.

თქვენი კითხვა ფრიად ნიშანდობლივია, ვინაიდან კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „რვიანი" ჯეროვნად ვერ ახორციელებს მოლაპარაკებების პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფას და ძალიან არაეფექტურად ურთიერთობს საზოგადოებასთან. ხელისუფლებისგან რამეს კატეგორიულად მოთხოვნა კი შეიძლება, მაგრამ რამდენად ეფექტიანია ასეთი მოთხოვნა, ეს სხვა საკითხია. საქმე ის არის, რომ ეს რუტინული პოლიტიკური პროცესია და მხოლოდ კატეგორიული მოთხოვნებით ფონს ვერ გახვალ. ამიტომაც არის საჭირო ამ პროცესში სამოქალაქო სექტორის, საექსპერტო საზოგადოების აქტიური ჩართვა და სხვადასხვა ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება და არა ბრძოლის სხვადასხვა საშუალებების ფორმებზე ნებაყოფლობით უარის თქმა.

***— არავინ უარყოფს, რომ საზოგადოება ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს და საკამათო თემებზე საჯარო მსჯელობაც უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ, „რვიანის" მხრიდან აქციებში მონაწილეობა-არმონაწილეობაზე საუბრებზე უფრო სერიოზული ნაბიჯი არ იქნებოდა იმის გაცხადება, რომ საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად ხელისუფლების მხრიდან სერიოზული ნაბიჯების გადაუდგმელობის შემთხვევაში „რვიანში" შემავალი პარტიები არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ?***

— ამ მოსაზრებას კატეგორიულად ვერ გავიზიარებ. ეს გავლილი ეტაპია და მგონი ყველა დარწმუნდა ბოიკოტის არაეფექტურობაში. ოპოზიციის სერიოზულ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოპოვებული მანდატების უგულველყოფა. ასევე, სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია მთელი რიგი ოპოზიციური პარტიების მხრიდან ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტირება. ვფიქრობ, რომ პოლიტიკური პრაგმატიზმის მაგალითს „ქრისტიან — დემოკრატიული" მოძრაობა იძლევა. ქდმ-მ სწორედ რომ რუტინული, მიზანდასახული და გარკვეული პოლიტიკური ცინიკურობით ნელ-ნელა ეუფლება საჭირო ფინანსურ, ადმინისტრაციულ რესურსებს, რაც ამყარებს მისი ელექტორალური რესურსის სტაბილურობას.

***— ვითარებაში, როცა საზოგადოების ნაწილი ოპოზიციის არა სუსუტეზე, არამედ სანდოობაზე ამახვილებს ყურადღებას, საზოგადოებისთვის რამდენად მისაღები შეიძლება აღმოჩნდეს ხელისუფლებასთან „რვიანის" წარმომადგენელთა ინდივიდუალური მოლაპარაკებები? იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება ისედაც ეჭვით უყურებს ოპოზიციის ლიდერთა ხელისუფლებასთან დაწყებულ ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს, რომელსაც გამჭირვალეობასთან არაფერი საერთო არა აქვს, ხომ***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**განცხადება**

გორში, ცხინვალის გზ. IV კმ-ზე ფუნქციონირებს შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1"-ის ასფალტის ქარხანა. საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობა შესა ლებელია გორში ბარნოვის ქ.№8ა. მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში. მიმდინარე წლის 12 აგვისტოს 12 საათზე გორში ბარნოვის ქ.№8ა შედგება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

**განცხადება**

ინდ.მეწარმე ივანე ლომიაშვილი კასპის რაიონის სადგურ მეტეხში გეგმავს ცემენტის დასაფქვავი მინი-საამქროს მოწყობას. საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობა შესა ლებელია გორში ბარნოვის ქ.№8ა. მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში. მიმდინარე წლის 11 აგვისტოს 12 საათზე გორში, ბარნოვის ქ.№8ა შედგება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

# „საბას“ ფინალისტები ცნობილია

ეკა ირემაშვილი

**ლიტერატურული კონკურსი „საბა" ფინალურ ეტაპს მიუახლოვდა. კონკურსში მონაწილე ნომინანტების სია ოფიციალურად გამოქვეყნდა. რიგით მეცხრე კონკურსში ავტორებმა და გამომცემლებმა 146 წიგნი წარადგინეს, რომლებიც კონკურსის ორგანიზატორებმა მათ მიერ დაწესებულ სხვადასხვა ნომინაციაში გადაანაწილეს.**

ნომინაციაში წლის საუკეთესო რომანი მოხვდნენ — ერლომ ახვლედიანი „კოლო ქალაქში“ (სიესტა), დავით დეფი გოგიბედაშვილი „ბალები“ (სიესტა), რევაზ მიშველაძე ჩურჩულს „გადაჩვეული კაცი“ (საქართველოს მაცნე), დათო ტურაშვილი „ამერიკული ზღაპრები“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ბასა ჯანიკაშვილი „ომობანა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ანა კორძაია-სამადაშვილი „შუშანიკის შვილები“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), თამაზ ექვთიმიშვილი „აქ, ამ ქალაქში“ (შემეცნება), გურამ მეგრელიშვილი „ორი მილიონი უფასოდ“ (გუმბათი), ლადო კილასონია „აბლაბუდას ზღაპარი“ (პეგასი), თორნიკე გურჯინთახი „ბუხარი“ (საარი), მანუჩარ კაჭახიძე „მედეა“ (გამოიცა ავტორის მიერ), გია ხუბუა „ერთი ნაპირის მდინარე“ (ზანი), მიხო მორჩილაძე „მოუკითხავნი“ (დანი ინტელექტი), ნოდარ კობერიძე „აღდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე“ (ეროვნული მწერლობა), გურამ მეგრელიშვილი, თამაზ დემეტრაშვილი „ირატტა. რუ“ (ალიანსი), ოსიკო (სიმონ) ჩხაიძე „ტანტალოსის სამი თვე“ (გამა პრინტი), დინარა ნავდარაშვილი „შუაში იყო წუთისოფელი“ (სიესტა), ტარიელ ჯიაძე „მგლის ხროვა“ (კარტოგრაფია).

წლის საუკეთესო პროზაული კრებული — ნინო თარხნიშვილი „სათაური 37-ე გვერდზე“ (დიოგენე), გურამ მეგრელიშვილი „ადამიანთა ქალაქი“ (დიოგენე), ბესო სოლომონაშვილი „რეისი ლონდონი-ზუზუმბო“ (დიოგენე), ზურაბ ლეჟავა „უხურდავებელი მონეტა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), მურად მთვარელიძე „მეიგავე“ (შემეცნება), ბექა ქურხული „შეხვედრა მას შემდეგ“ (პეგასი), ლადო კილასონია „როცა უკვე დაგაგვიანდა“ (პეგასი), ირაკლი ქასრაშვილი „რეპეტიცია“ (პეგასი), დიანარა ნავდარაშვილი „შუაში იყო წუთისოფელი“ (სიესტა), ვანო ჩხიკვაძე „ტაში მიცვალებულებისთვის“ (საქართველოს მაცნე), მაკა მიქელაძე „მე და ჩემი კუსტურიცა“ (სიესტა), დიმიტრი ლონჯანიძე „ღამე გარეჯის უდაბნოში“ (უნივერსალი), ვაჟა კოზმანაშვილი „სხივი ნისლში“ (სვეტი), ოლია ბრაგვაძე „კურცხალი ცეცხლში“ (ფარნავაზი), გივი ბუთხუზი „არაგველები კრწანისში“ (ეროვნული მწერლობა), ლია რუსიაშვილი „სალი კოლხელი“ (ლეგა).

წლის საუკეთესო პოეტური კრებული — ლელა სამნიაშვილი „ფრაქტალები“ (სიესტა), ამირან სვიმონიშვილი „სამკვიდრო“ (სიესტა), გივი ალხაზიშვილი „ჩაბრუნებული მზერა“ (საუნჯე), ეკა ქევანიშვილი „აქ ნუ დადგებით“ (დიოგენე), დათო ყანჩაშვილი „სიფხიზლის გამო“ (დიოგენე), პაატა შამუგია „უპირატესობა“ (დიოგენე), თემურ ჩხეტიანი „უადრესატოდ“ (დიოგენე), მანანა ჩიტიშვილი „მაინც საქართველო ჰქვია“ (ინტელექტი), ქეთი ნიჟარაძე „წაუკითხავი ლექსები“ (ინტელექტი), მარიამ წიკლაური „თეთრი ხბორები“ (პეგასი), შოთა იათაშვილი „შრამი“ (პეგასი), კატო ჯავახიშვილი „მარცხნივ“ (საუნჯე), ნიკა ჯორჯანელი „სიმღერები დაწყვეტილი სიმებისთვის“ (საუნჯე), ფიქრია ყუშიტაშვილი „პარალელური განზომილება“ (საარი), შარლოტა კვანტალიანი „წმინდა აბო თბილელი“ (ვეფხისტყაოსანი), მათე მარადელი „თეთრი ნისლი“ (დამანი), ვაჟა ხორნაული „სიყვარულის ძაფზე ჩამოქნილი სიცოცხლის სანთელი“ (თობალისი), ზეინაბ გუგუნავა „მოხვაშიადე ია ვარ“ (ინოვაცია), რეზო ხობელი ვეკუა „შემოდგომა მზე და მამული“ (მერიდიანი), ლუდა ლონიაშვილი „საცისკრის შადრევნები“ (ზენაარი), დავით დეფი გოგიბედაშვილი „დნმ სიმფონია“ (შემეცნება), ედისონ ერემია სალაძე „საქართველოსთვის სწორდით“ (გამოიცა ავტორის მიერ), რომან ზუკაკიშვილი „შეხვედრები უფალთან“ (კალმოსანი), ივერი მისურაძე „სახეცვალება“ (ციაგი), ალექსანდრე ლორთქიფანიძე „ლურჯი“ (პეგასი), ნინო დარბაისელი „ვიტა ბრევის“ (სიტყვა), ციური თარგამაძე „ფიქრით ვიყავი წარსულში“ (ინტელექტი), ცინარი მარიამ ხმიადაშვილი „ლექსები გულის ნათქვამი“ (გამოიცა ავტორის მიერ), გოგი ბითაძე „ნატყვიარი მაგნოლია“ (გამოიცა ავტორის მიერ), ბადრი ცირამუა „პოეტური მონოლოგები“ (ინტელექტი), ბაჩუკი ბახტაძე „რადგან ცხადში ვერ გიპოვნე უნდა გამოგიგონო“ (თბილისი), ლალი ხვედელიანი „ლალი ხვედელიანის უცნაური ზაფხული“ (გამოიცა ავტორის მიერ), ციური თარგამაძე „სულის თვალებით უჭერო გრიგალში“ (ინტელექტი), იზა ჭიკაიძე „მე დავიბადე ქრისტეშობისას“ (მაქსიმუმი), ელა გოჩიაშვილი „მათქმევინე დე“ (ლეგა).

წლის საუკეთესო თარგმანი — დალილა ბედიანიძე ანრდაშ პეტეცი „დაბადების დღე“ (სიესტა), გიორგი კახაბერი ჟან ჟენე „ნოტრ დამ დე ფლერი“ (დიოგენე), ლია ჩლაიძე ორჰან ფამუქი „მე წითელი მქვია“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), მაია ქაცანაშვილი მარტენ პაჟი „როგორ გავხდი იდიოტი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), თემურ ხანთაძე „ავსტრიული მოთხრობა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), სულხან მუხიგულაშვილი ვაცლავ ჰაველი „გთხოვთ, მოკლედ“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ნანა იაშვილი ანა გავალდა „მინდა ვილაც სადღაც მელოდეს“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), მარიამ საააკაშვილი ელენე ბოჭორიშვილი „ოპერა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), მარგარიტა რობაქიძე სიდნი შელდონი „ანგელოზების რისხვა“ (შემეცნება), რუსუდან მახათაძე ფრიტიოფ ნანსენი „კავკასიიდან ვოლგისკენ“ (ინტელექტი), მედეა ზაალიშვილი უილიამ ბატლერ იეიტსი „კელტური მიმწუხრი“ (ინტელექტი), დალი იაშვილი ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიო „გაზაფხული და წელიწადის სხვა დრონი“ (ინტელექტი), მანანა ანთაძე ტენესი უილიამსი „კამინო რიალი“ (აგორა), მერი ტიტვინიძე ხულიო კორტასარი „კლასობანა“ (არეტე), გიორგი ლობჟანიძე საადი შირაზელი „გოლესთანი“ (კავკასიური სახლი), გივი კიკილაშვილი თეოდორ დოსტოევსკი „ძმები კარამაზოვები“ (მხატვრული ლიტერატურა), ზეზვა მედულაშვილი „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“ (უნივერსალი), ვალერი ოთხოზორია ლექსები იაპონელი პოეტისა „კი კა მშვენიერი ავადმყოფობა“ (უნივერსალი), ბათუ დანელია იოსებ ბროდსკი „ბროლის კუნძული“ (ინოვაცია), მაია მირიანაშვილი ბერნანდ შლინკი „წამკითხველი“ (ზებრა), დავით გოლიჯაშვილი რამზი ნასრი „თაფლის და რძის სახლი“ (ლინკი), თამარ რეკკ კოტრიკაძე რეი ბედბერი „ბაბუაწვერას ღვინო“ (ილიას უნივერსიტეტი),

წლის საუკეთესო დებიუტი — დათო ქებაძე „ყველა ქალი ჩემია“ (სიესტა), თამთა მელაშვილი „გათვლა“ (დიოგენე), მიშა ბახსოლიანი „ყველას უყვარს მარი“ (დიოგენე), დევი ბერძენიშვილი კნუტ ჰამსუნი „შიმშილი“ (არეტე), ნუგზარ ვანიშვილი „ლეგენდარული ამბები ანუ ჭეშმარიტი“ (გამოიცა ავტორის მიერ), ლუკა ბაქანიძე „ღმერთი ჩემი მოხეტიალე“ (კავკასიური სახლი), ოლესია თავაძე „სევდიანი ჩანაწერები“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება), მანანა რომელაშვილი „ტყისპირა სახლის ზღაპარი“ (საარი), გიორგი ალნიაშნილი „იყო და იყო“ (ეროვნული მწერლობა), ირაკლი კაკაბაძე „წერილები და მავთულხლართები“ (კავკასიური სახლი), გიორგი კალანდაძე „გატეხილი ღამეები“ (გამოიცა ავტორის მიერ), ნატა ვარადა „ერთი საათით გვიან“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება), მამუკა მაღულარია კლიმ მარი „მთელი ეს როკენ როლი“ (ლეონარდო), ირმა არჩუაშვილი „ინო“ (საარი),

წლის საუკეთესო პიესა — დავით გაბუნია „სხვისი შვილები საპნის ოპუსი“ (სიესტა), მანანა დოიაშვილი „ერთი ტყვიაც რა ღმერთო“ (ჟურნალი თეატრი და ცხოვრება ნომერი), ზურაბ კანდელაკი „სულ ერთი წუთი მადროვე ჯალათო“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება), ლაშა ბუღაძე „თავი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ზურაბ ლეჟავა „უკანასკნელი მალაკანი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ირაკლი სოლომონაშვილი „მარილი“ (ჟურნალი ქართული მწერლობა), თამარ ბართაია „სათამაშო პისტოლეტი“ (ჟურნალი ლიტერატურული პალიტრა), თამაზ ექვთიმიშვილი „პუანტები“ (ჟურნალი ლიტერატურული პალიტრა), ოთარ პერტახია „საუკეთესო მოდელი“ ჟურნალი ლიტერატურული პალიტრა), ირაკლი სოლომონაშვილი „მაპატიე დედიკო“ (ჟურნალი ლიტერატურული პალიტრა), დათო ტურაშვილი „ევროჯორჯია“ (ლიტერატურული გაზეთი), მიხო მოსულიშვილი „თითქმის პიკასო და ცოტა ბოსხი მარჯვნიდან“ (საარი), ირაკლი სამსონაძე „ინდაურის კვერცხი“ (არეტე), ბასა ჯანიკაშვილი „ომობანა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), შოთა იათაშვილი „მავედრებელი“ (ჟურნალი აფრა).

წლის საუკეთესო კრიტიკა ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა — პაატა ქურდაძე „ფსიქოდელიური ქრონიკა“ (სიესტა), გივი ალხაზიშვილი „მომავალი წარსული“ (სიესტა), ნუგზარ მუზაშვილი „გაქცევა ისტორიიდან“ (დიოგენე), თამარ ფხაკაძე „გმირი“ (პრაიმ ტაიმი), ზაზა ბურჭულაძე „კონფორმისტის ჩანაწერები“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ლევან ბერძენიშვილი „წმინდა წყვდიადი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), გიგი თევზაძე „უცნობი წიგნები ქართველებისთვის“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), გელა გამყრელიძე „ომი და შეიარაღება იბერია კოლხეთში“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ლია სტურუა „ბედნიერი სიჩუმე“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ბაჩანა ბრეგვაძე „ბოლო წლების ჩანაწერები“ (ინტელექტი), ვილენ მარდალეიშვილი „ესა ვარ რაცა ვარ“ (ინტელექტი), დილარ ივარდავა „ესსეისტური ეტიუდები“ (ინტელექტი), გიორგი კაკაბაძე „ნიკო ფიროსმანი“ (პეგასი), ლევან ბრეგაძე „მოგზაურობა კაუკაზიშე პოსტის ფურცლებზე“ (არტანუჯი), ნაირა გელაშვილი „ჰოლდერლინი“ (კავკასიური სახლი), შოთა იათაშვილი „დალაგება“ (საუნჯე), ნოდარიონ მახათაძე „ლირიკიადა“ (ეროვნული მწერლობა), ლეილა ნოდია „სუჯუნა“ (უნივერსალი), თემურ ჯულაყიძე „ქრისტეს რჩეული მხედრები“ (ხომლი 6), ტარიელ დათიაშვილი „ვარდის და ბულბულის ხანა“ (მბმ პოლიგრაფი), თემო ჯაფარიძე „ნახატის სიჩუმე“ (კავკასიური სახლი), ინგრიდ დეჭრავე თამარ ბაბუაძე „ცხოვრება მუზეუმში“ (ლინკი), ლელა დუმბაძე „განდი“ (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი), რუსუდან ჩოლოყაშვილი, ეკა ჩხეიძე, ნინო ბალანჩივაძე, ნესტან რატიანი, ირმა ყველაშვილი „ანტისაბჭოური სიტყვიერება“ (ნეკერი), მანანა ამირეჯიბი „მე და ჩემი წილი მამა“ (დანი).

გასულ კვირას კი ლიტერატურული პრემია „საბას“ ფინალისტების სია ოფიციალურად გამოცხადდა. ავტორებისა და გამომცემლობების მიერ წარდგენილი 148 წიგნიდან 58 ფინალისტი შეირჩა. ამით ლიტერატურული კონკურსი „საბას“ პირველი ეტაპი დასრულდა. ივნისის მიწურულს თიბისი ბანკში „საბას“ რიგით მეცხრე დაჯილდოება საზეიმოდ გაიმართება. „საბას“ პრიზებსა და ფულად პრემიებს 2010 წლის საუკეთესო წიგნების ავტორები მიიღებენ. მათგან ივნისის ბოლოს 4 ათასი ლარით და კონკურსის პრიზით 7 ავტორის წიგნი დაჯილდოვდება. ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს თიბისი ბანკმა დააფუძნა. პრემიის მიზანია წლის საუკეთესო წიგნების გამოვლენა. საპრემიო ფონდი შეადგენს 40 ათას ლარს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს „თიბისი ბანკი“ გადასცემს.

ხუთკაციანი ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები და უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი. იმ ავტორს, რომელსაც გამორჩეული წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე, გადაეცემა პრემია „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“. ლიტერატურულ კონკურსში მნიშვნელოვანი სიახლეც არის — წელს „საბას“ ნომინაციების რაოდენობას ერთი ნომინაცია დაემატა — „წლის საუკეთესო კრიტიკა“ ორგანიზატორებმა ცალკე ნომინაციის სახით გამოყვეს და ამით „საბამ“ შექმნა დამატებითი სტიმული, რათა ლიტერატურის კრიტიკოსები მეტად გააქტიურდნენ და უფრო მეტი წიგნი გამოიცეს ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით. შესაბამისად, ნაცვლად ტრადიციული 8 ნომინაციისა, წელს „საბა“ 9 ნომინაციაში გაიცემა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 558-21-77-93; 234-02-38 ფატი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-37-72 ნარგიზა.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 590-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● შევაკეთებთ ნებისმიერი სირთულის სარეცხ მანქანებს გარანტიით, ინდმეწარმე გოდერძი ადამია. ტელ: 599-63-62-32; 590-63-62-32.

● ქირავდება სასაწყობე და საწარმოო ფართი ქვემო ფონიჭალაში 2000 კვ.მ. შენობა, შენობის სიმაღლე 8 მ. ტერიტორიაზე შედის რკინიგზის ჩიხი. ტელ: 599-51-28-44 ან 599-73-75-73.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

SMS-განცხადებები - 3090
იყიდება
შევი ენ

# შვიდკაცა — მეშვიდეზე

საქართველოს მორაგბეთა 7-კაცა ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ ლიონში გამართული ევროპის გრან-პრი მე-7 საფეხურზე დაასრულა. სახეცვლილი ტურნირის პირველი შეხვედრა კახა ალანიას შეგირდებმა ჰოლანდიასთან ძლევით გახსნეს და VII ადგილისთვის ბრძოლაში ამავე ჰოლანდიას მოუგეს.

როგორც უკვე გითხარით, საქართველოს ნაკრებმა გრან-პრის პირველი ეტაპი ჰოლანდიელთა ძლევით დაიწყო (14:7), მაგრამ შემდგომში ზედიზედ სამ შეხვედრაში დამარცხდა — უკრაინასთან (14:17), ესპანეთთან (10:26) და პორტუგალიასთან (14:21).

ამრიგად, მეორე დღეს ჯგუფის აუტსაიდერი რუმინეთისთვის რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა მოეგო და V-VIII ადგილისთვის ბრძოლის საშუალება ექნებოდა. პროგრამა-მინიმუმი უპრობლემოდ შესრულდა, ქართველებმა რუმინელებს 5 უპასუხო ლელო გაუტანეს, 4 რეალიზაცია გამოიყენეს და მეტოქე 33:0 გაანადგურეს. რადგან ამავე ჯგუფის კიდევ ორ შეხვედრაში სენსაცია არ დაფიქსირდა, ესპანეთმა უკრაინას — 29:0, ხოლო პორტუგალიამ ჰოლანდიას 24:5 სძლია, ქართველებმა ჰოლანდიასა და უკრაინას (სამივემ 9-9 ქულა დააგროვა) გატანილ-გაშვებული ქულებით აჯობეს (საქართველო 14, ჰოლანდია — 37, უკრაინა — 39) და მე-3 ადგილი დაიკავეს.

V-VIII ადგილებისათვის გასამართ ნახევარფინალში საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე რუსეთისა და იტალიის დაპირისპირებაში ირკვეოდა. იტალიას, რომელმაც ჯგუფში ინგლისს სძლია, უფრო მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად თორმეტ ქულაზე მეტი სხვაობით არ უნდა წაეგო, მაგრამ რუსეთთან 0:19 დამარცხდა და ჯგუფში მე-5 ადგილს დასჯერდა, რუსეთი კი მეოთხეზე აღზევდა. V-VIII ადგილების ნახევარფინალში საქართველოს რუსეთი ერგო და ტრადიციულად დიდი ბრძოლაც გაიმართა, მაგრამ ამჯერად მათთვის ყველაზე პრინციპული მეტოქის ძლევა ვერ მოახერხეს. ქართველთა სამ ლელოს, რომელთაგან ორს ზუსტი გარდასახვა მოჰყვა, რუსებმა 4 ლელოთი უპასუხეს, 2 რეალიზაცია მათაც ზუსტად შეასრულეს და 24:19 იმარჯვეს.

მე-5 ადგილისთვის გამართულ მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში უელსმა ჰოლანდია 34:0 გაანადგურა და შედეგად VII ადგილს ქართველებს ჰოლანდიელები უნდა შესცილებოდნენ, მაგრამ, ჯგუფური ეტაპისგან განსხვავებით, ამჯერად ალანიას შეგირდებმა მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს და 41:7 (7 ლელო და 3 გარდასახვა) შეარცხვინეს.

მე-5 ადგილი ქართველთა მძლეველ რუსეთს დარჩა, რომელმაც უელსს 33:12 მოუგო. თასის ნახევარფინალში ესპანეთმა მასპინძელი საფრანგეთი 19:12 დაამარცხა, ხოლო პორტუგალია ინგლისთან უშანსოდ იყო — 14:33.

მე-3 ადგილისთვის ჯახში ყველაფერი ერთმა ლელომ გადაწყვიტა, რომელიც უშეღავათო ბრძოლაში ფრანგებმა გაიტანეს, რეალიზაციაც გამოიყენეს და პორტუგალიას 7:0 სძლიეს.

დიდი ბრძოლა გაიმართა ფინალში ინგლისსა და ესპანეთს შორის. ინგლისი წინ გადიოდა, ესპანეთი ათანაბრებდა, მაგრამ ასე მხოლოდ მე-2 ნახევრის დასაწყისამდე გაგრძელდა. ამის შემდეგ ინგლისელებმა მეტოქის შეცდომით ორჯერ იხეირეს, ზედიზედ 2 ლელო გაიტანეს და 28:14 იმარჯვეს. ამრიგად, ლიონის ეტაპი ინგლისის გამარჯვებით დასრულდა და გრან პრის სათავეშიც ის მოექცა.

ერთი კვირის თავზე გრან პრის მე-2 ეტაპს მოსკოვი უმასპინძლებს (25-26 ივნისი), სადაც გუნდები ჯგუფებში ლიონის ეტაპზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით გადანაწილდებიან. მთლიანობაში, ახალი სისტემის თანახმად, ევროპის ამ თორმეტ საუკეთესო გუნდს 4 ეტაპის გამართვა მოუწევს. თითოეულ ეტაპზე დაკავებული ადგილების მიხედვით მათ ქულები დაერიცხებით, რომლებიც შეიკრიბება და გრან პრის გამარჯვებული ის გუნდი ექნება, რომელსაც ყველაზე მეტი ქულა დაუგროვდება.

საქართველოს ნაკრებმა ლიონის გრან პრიზე ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დავით ჩიტიძე, გიორგი კობერიძე, ირაკლი ღვინჯილია, ალექსანდრე ტუჩაშვილი (ყველა ლოკომოტივი), ირაკლი გეგენავა, შალვა მახარაშვილი, ალექსანდრე ნიჟარაძე (ყველა ყოჩები), გიორგი კალმახელიძე (არმია), მერაბ შარიქაძე (აკადემია), გიორგი შკინინი (ხულიგანა), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე, საფრანგეთი).

# ნამიბიასთან რევანში მეორე ადგილს ეყო



**საქართველო — ნამიბია 23:18**

საქართველო: მ.ურჯუკაშვილი (ბ.ურჯუკაშვილი 70), გუგავა, თოდუა, გიგაური, ჩხიკვაძე, ხმალაძე, სამხარაძე; შველიძე, ბრეგვაძე, ქუბრიაშვილი (კაკოვინი 50), ზედგინიძე (ნემსაძე 62), ვ.მაისურაძე, ბერიშვილი (ბასილაია 20), კოლელიშვილი, ზ.მაისურაძე

**2ლ: სამხარაძე, გიგაური**
**3ს: მ.ურჯუკაშვილი**
**2გ: მ.ურჯუკაშვილი**
**სინბინი: ჩხიკვაძე**

**ნამიბია:** ბოთა, ვინკლერი, ვიკი, დ.დე ლა ჰერპი, ბოკი (ფილანდერი 56), ჯენტისი, რ.დე ლაჰარპი; რედელინჰაუზი, ოკალაჰანი, ტოიტი, კოლი (ბლომი 41), ესტერჰუიზენი, დუ პლესი, კიტშოფი (ფან ლილი74), ნიუვენჰაუზი

**2ლ: ვინკლერი, ბოკი**
**2ს: ჯენტისი**
**გ: ჯენტისი**

საქართველოს ნაკრებმა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დასრულებულ ირბ-ს თასის ბოლო ტურში ნამიბიის ნაკრებთან შარშან განცდილი მარცხის გამო რევანში აიღო — 23:18.

თამაში ჩვენი გუნდისთვის ძალიან ცუდად დაიწყო და მე-15 წუთისთვის უკვე თორმეტი ქულის სხვაობით აგებდნენ. „ბორჯღალოსნებში" არ იგრძნობოდა ის მუხტი, რაც გამარჯვებისთვის იყო საჭირო. ნამიბიელები ქართველებს არაფერში ჩამოუვარდებოდნენ, შერკინებაშიც მედგრად იდგნენ, სისწრაფეშიც გვჯობდნენ, თამაშსაც უკეთ შლიდნენ და ფეხით ძალიან კარგ ტაქტიკურ დარტყმებს ახორციელებდნენ. ისინი დაახლოებით 60 მეტრის მოგებას იოლად ახერხებდნენ და ყველაფრის თავიდან დაწყება ხდებოდა საჭირო.

მაგრამ ტაიმის მიწურულს ბიძინა სამხარაძის მიერ გატანილმა ლელომ სიტუაცია შეცვალა და მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. მიუხედავად ამისა, ოდნავ მაღალი კლასის გუნდი, უბრალოდ, უკეთესი დამრტყმელის პატრონი ნაკრები ამდენ შეცდომას არავის პატიობს და, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებს გაუმართლა და გამარჯვებაც გარკვეულწილად ამის ხარჯზე მოვიპოვეთ. ცხადია, „გარჯა" მეტოქეს არ უნდა დავუკარგოთ — 4 აცილებული საჯარიმო და ერთი გარდასახვა.

პირველივე წუთზე მსაჯმა შერკინებაში დაგვაჯარიმა და ჯენტისმა მარჯვენა კიდიდან, 22-ის ხაზიდან არაზუსტად დაარტყა.

ნამიბიელებმა მე-6 წუთზე შერკინებაში ბურთი წაგვართვეს და მარჯვნივ ხაზზე გაათამაშეს. „ბორჯღალოსნების" დაცვა ადგილზე დახვდა, მაგრამ აფრიკელებმა ორჯერ ფეხით გადაიკიდეს და ბოლოს კიდესთან ახლოს, ბურთი გარემარბ ლიველინ ვილკნერის ნადავლი გახდა, რომელმაც სისწრაფეში აჯობა ჩვენებს და ანგარიში ლელოთი გახსნა. ფულბეკმა ქრისანდერ ბოთამ გარდასახვა ვერ გამოიყენა — 5:0.

ორიოდ წუთში ჯენტისმა ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა რვა ქულამდე გაზარდა — 8:0.

მე-12 წუთზე უკვე საქართველოს ნაკრების ფულბეკმა მალხაზ ურჯუკაშვილმა ორმოცი მეტრიდან ასევე საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 3:8.

მალე ნამიბიელებმა შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს. ჩვენ 22-მეტრიან ზონაში ბურთი შერკინებიდან გამოიტანეს, სწრაფად მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაათამაშეს, ჯენტისმა კიდისკენ ფეხით გადაჰკიდა და გარემარბმა ჰეინი ბოკმა ლელო გაგვიტანა, ჯენტისმა კი გარდასახა — 15:3.

ამის შემდეგ ურჯუკაშვილმა და ჯენტისმა თითო გაცუდებული ჯარიმა გაცვალეს, თამაში კი ძირითადად მოედნის შუა ნაწილში მიმდინარეობდა, მხოლოდ ქართველთა მცირე უპირატესობით. ქართველმა მორაგბეებმა ნელ-ნელა შეძლეს გონს მოსვლა და 35-ე წუთზე ლელოს გატანაც მოახერხეს.

დერეფანი ნამიბიელთა ლელოდან 30 მეტრში ვიქტორ კოლელიშვილმა მოიგო, ხმალაძემ ხაზის გაჭრა სცადა, ჩათვლის მოედნიდან ოც მეტრში დაიჭირეს, ბურთი კვლავ კოლელიშვილმა აიტაცა და თორმეტიოდე მეტრით წაიწია, საქმეში სამხარაძე ჩაერთო, რაქიდან ბურთი სწრაფად გამოიტანა და ისე მოიქცა, როგორც სჩვევია — ჯერ განზე წავიდა, თითქოს გადაცემის ადრესატს ეძებდა, მერე თავისუფალ ადგილას ხაზი გაჭრა და ლამაზი ლელო გაიტანა, ურჯუკაშვილმა კი რეალიზაცია გამოიყენა — 10:15. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები მოედანზე სულ სხვა განწყობით გავიდა. „ბორჯღალოსნებმა" პირველივე წუთებიდან შეუტიეს, მოკლე დარტყმებით დაახლოებით 25 მეტრი მოიგეს და ჯგუფურად მეტოქის ძელებშუა შეაღწიეს. ისე ჩანდა, რომ ვახტანგ მაისურაძემ ლელო გაიტანა, მაგრამ რეფერიმ არ ჩათვალა და 5-მეტრიანი შერკინება ჩვენ სასარგებლოდ დანიშნა. მიწოლისა და რამდენიმე დარტყმის შემდეგ სამხარაძემ მოულოდნელად მარცხნივ ხაზზე შუამარბ რეზო გიგაურს გადააწოდა, რომელმაც გვერდი ორ მოწინააღმდეგეს აუარა და ბურთი ჩათვლის მედანში შეიტანა, ურჯუკაშვილმა გარდასახა და მატჩში პირველად დავწინაურდით — 17:15.

ნამიბიელებმა ერთ წუთში ანგარიში ისევ სათავისოდ ხელსაყრელი გახადეს. ჯენტისმა საჯარიმო გაიტანა — 18:17. ამას ურჯუკაშვილმა ორი საჯარიმოთი უპასუხადა და მე-60 წუთისთვის 23:18 დავწინაურდით. ურჯუკაშვილის ჯარიმებს შორის ორი ისეთი შეცდომა დაუშვა, რომელიც შესაძლოა მარცხის ფასი გამხდარიყო. ჯერ ლექსო გუგავამ, მერე კი ლაშა ხმალაძემ საკუთარი 22-დან ხელით სცადეს შეტევის დაწყება, ორივე ჩახურვისთვის დაჯარიმდა და ჯენტისმა ორივეჯერ კარში დაარტყა, თუმცა, საბედნიეროდ, ორივე ააცილა.

დარჩენილ 20 წუთში ნამიბიამ გაიბრძოლა, მაგრამ ქართველთა დაცვა კარგად იდგა და არაფერი გამოვიდა, რის გამოც 65-ე წუთზე დაახლოებით 40 მეტრიდან კვლავ ჯარიმის გატანით სცადეს ფონს გასვლა, ოღონდ ამჯერად ეს მისია ბოთამ იკისრა და მიზანმა მასაც უმტყუნა. მალევე ირაკლი ჩხიკვაძემ ბურთიანი მეტოქე ჰაერში შებოჭა და ვარდნისას მეტოქე მინდორზე მკერდით დაენარცხა. საქართველოს ნაკრების უკანახაზელი მსაჯმა სინბინით დაისაჯა. ამან ნამიბიელებს იმედები ჩაუსახა და ლელოს გატანაზე ითამაშეს.

აქ დიდებულად გაისარჯა ბიძინა სამხარაძე — მან ბურთი ორჯერ მეტოქის ნახევარზე გადაიტანა, რის შედეგადაც კაცნაკლულობის მთელი პერიოდი თამაში აფრიკელთა ნახევარზე მიმდინარეობდა. თუმცა, მეტოქეს ერთი ლელო ჰყოფნიდა და ქართველები ქულის მოპოვებაზეც დაფიქრდნენ, მაგრამ ხმალაძემ არეკნი ვერ გაიტანა.

ბოლო 3-4 წუთი ნამიბიამ ქართველთა 22-ში, გააფთრებულ შეტევებში გაატარა. აფრიკელები ფლანგების ცვლით ცდილობდნენ დაცვის ხაზის გაჭიმვას, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა წარმოუდგენელი თავდადების ხარჯზე მოახერხა მეტოქის იერიშების შეკავება, ისინი საკუთარ ჩათვლის მიედანს არ გააკარა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა — 23:18.

**მატჩის შემდეგ:**

**რიჩი დიქსონი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

— მიზანი, რასაც ჩვენი ამ ტურნირში მონაწილეობა ითვალისწინებდა, მიღწეულია. განვლილმა თამაშებმა ბევრ კითხვაზე გაგვცა პასუხი. ახლა ჩვენთვის მთავარია, გუნდი მსოფლიო თასისთვის სათანადოდ მოვამზადოთ.

**ჯონ მაგლტონი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

— საქართველოს ნაკრებთან მუშაობა შარშან ნოემბერში დავიწყე. ვფიქრობ, საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავე. ალბათ, ხედავთ, რომ ეს ბიჭები ნელ-ნელა იზრდებიან. ისინი ძალიან მონდომებულნი არიან, უნდათ, სულ უფრო მეტი ისწავლონ და თამაშისას უკომპრომისო ხასიათით გამოირჩევიან. ჩვენი ნაკრების შერკინება ძალიან ძლიერი და მობილურია. ახლა მთავარია, მათ დონეს გავუთანაბროთ უკანახაზელების თამაშის დონეც, რაც მეტ ეფექტსა და ბევრად უკეთეს შედეგს მოგვცემს. ქართველები ძალიან ლამაზი, კეთილშობილი ხალხია. ყველა ღონეს ვხმარობ, რომ ქართული ვისწავლო და მათ მშობლიურ ენაზე ვესაუბრო. ვფიქრობ, რომ ეს უფრო სარგებლობის მომტანი იქნება და მათი მხრიდან მეტ პატივისცემას დავიმსახურებ.

**სხვა მატჩები:**

პორტუგალია-სამხრეთ აფრიკის კინგსი 12:39
რუმინეთი-არგენტინისიაგუარები 13:37

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სამხრეთ აფრიკის"კინგსი" | 3 | 3 | 0 | 97:52 | 13 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 1 | 54:62 | 8 |
| 3.არგენტინის"იაგუარსი" | 3 | 1 | 2 | 71:52 | 7 |
| 4.ნამიბია | 3 | 1 | 2 | 58:59 | 6 |
| 5.რუმინეთი | 3 | 1 | 2 | 49:75 | 5 |
| 6.პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 60:89 | 5 |

# სერენა უილიამსი: „არასდროს მსიამოვნებს ვინუსის წინააღმდეგ თამაში"

სერენა უილიამსი კორტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ახლახან დაუბრუნდა და ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა სასურველი ფორმის აღდგენას. არადა, მან ერთ ტურნირში უკვე მიიღო მონაწილეობა, სადაც არცთუ დამაჯერებლად გაისარჯა. წინ კი უიმბლდონის ტურნირია, რომელიც უმცროს უილიამსს ქალთა ერთეულ თანრიგში 2002, 2003, 2009 და 2010 წლებში აქვს მოგებული.

უმცროსი უილიამსის მიერ მოპოვებული ბოლო ორი ტიტული მას წელსაც თითქოს ფავორიტთა შორის ამყოფებს, თუმცა, რამდენად შეძლებს სერენა წარმატებით გამოსვლას უიმბლდონის კორტებზე, ამას უახლოესი ორი კვირა გვიჩვენებს.

— ***უიმბლდონის მორიგ სტარტს როგორ ფორმაში ხვდებით? მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სრული დატვირთვით მზადებას ახერხებთ?***

— კარგა ხანია ინტენსიურად ვვარჯიშობ. თუმცა, თავიდან მხოლოდ ბურთების მოწოდებას ვხვეწდი, ბოლო ერთი თვე კი ფიზიკურ მზადყოფნასაც დიდ ყურადღებას ვუთმობ.

— ***ვინუსი ამბობს, რომ მას უიმბლდონის მოგება აქვს მიზნად დასახული.***

— წარმატებას ვუსურვებ ჩემს დას, ჯერჯერობით კი მხოლოდ პირველი წრის წარმატებით გადალახვაზე ვფიქრობ.

— ***თქვენ და ვინუსი კორტს ერთდროულად დაუბრუნდით. ეს მომენტი სტიმულს გაძლევთ?***

— რასაკვირველია. ჩვენ ერთად გავიარეთ ჩოგბურთში დაბრუნების მძიმე გზა. მართალია, ვინუსს ნაკლები საასპარეზო დრო გაუცდა, მაგრამ კარგად ვიცი, რა რთული პერიოდი გადაიტანა. ვინუსს აქამდე სათამაშო პაუზა არ ჰქონია და მომხდარს განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა. ერთად რომ დავბრუნდით, ეს ორივესთვის დადებითი მომენტია. ერთობლივად ვვარჯიშობდით, ვამხნევებდით ერთმანეთს და გვიხაროდა, თანდათან ფორმას რომ ვიბრუნებდით.

— ***აქამდე თქვენ და ვინუსი ერთად არ ვარჯიშობდით.***

— სამომავლოდაც ასე იქნება, უბრალოდ, ამჯერად ტრავმამ გვაიძუ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# შედეგები

**ამხანაგური მატჩი**

ჩილე-ესტონეთი ........ 4:0

**კონკაკაფი. ოქროს თასი**

იამაიკა-აშშ ........ 0:2
პანამა-სალვადორი ........ 1:1(5:3პ)

**ეჩ-2011 (21) ფინალური ეტაპი**

ინგლისი-ჩეხეთი ........ 1:2
უკრაინა-ესპანეთი ........ 0:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-ჰელსინბორგი ........ 0:0
გაისი-აიკი ........ 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

მიოლდე-სონგდალი ........ 2:0
ჰაუგესუნდი-სტარტი ........ 1:0
ბრანი-ალესუნდი ........ 1:1
ვალერენგა-სარპსბორგი ........ 2:0
ლილესტრიომი-სტრომგოდსეტი ........ 4:2
სტაბეკი-ვიკინგი ........ 0:1
ფრედრიკსტადი-ოდ გრელანდი ........ 0:1
რუსენბორგი-ტრომსო ........ 3:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-ტპს ........ 1:1
მარიეჰამნი-ჰონკა ........ 1:0
როვანიემი-ვაასა ........ 1:1
იარო-მიუპა ........ 1:5

**აშშ. მლს**

პორტლენდი-რედ ბული ........ 3:3

**ბრაზილია. სერია ა**

გრემიო-ვასკუ ........ 1:1
პალმეირასი-ავაი ........ 5:0
სეარა-სან პაულუ ........ 0:2
ფიგეირენსე-ატლეტიკო(პ) ........ 2:0
ფლამენგო-ბოტაფოგო ........ 0:0
ატლეტიკო(მ)-ატლეტიკო(გ) ........ 2:2
კურიტიბა-ინტერნასიონალი ........ 1:1

**არგენტინა. კლაუსურა**

არსენალი-ესტუდიანტესი ........ 1:0
ოლდ ბოიზი-კოლონი ........ 1:0
ბანფილდი-სან ლორენცო ........ 1:1
ველეზი-რასინგი ........ 2:1

**კალათბურთი**

**ეჩ-2011. ფინალური ეტაპი**

**ქალები**

ესპანეთი-ჩერნოგორია ........ 57:66
სლოვაკეთი-თურქეთი ........ 60:76
საბერძნეთი-ხორვატია ........ 63:65
ისრაელი-ბელარუსი ........ 41:68
ლიტვა-რუსეთი ........ 76:64
პოლონეთი-გერმანია ........ 75:60
დ.ბრიტანეთი-ჩეხეთი ........ 45:60
საფრანგეთი-ლატვია ........ 56:59(ოტ)

**წყალბურთი**

**მსოფლიო ლიგა. სუპერფინალი**

საბერძნეთი-ესპანეთი ........ 14:8
რუსეთი-კანადა ........ 14:9
ჩინეთი-ავსტრალია ........ 5:7
აშშ-იტალია ........ 9:7

**ფრენბურთი**

**მსოფლიო ლიგა**

**კაცები**

რუსეთი-იაპონია ........ 3:0
ბრაზილია-პურტო რიკო ........ 3:0
გერმანია-ბულგარეთი ........ 1:3
არგენტინა-პორტუგალია ........ 3:0

**ევროლიგა**

ბელარუსი-სლოვაკეთი ........ 3:1
სლოვენია-დ.ბრიტანეთი ........ 0:3
ბელგია-ხორვატია ........ 3:2
ავსტრია-ჰოლანდია ........ 3:1

# ხელკეტი და ელექტროშოკი

საკმაოდ სკანდალური და ხმაურიანი გამოდგა რუსული პრემიერლიგის განვლილი ტური — „ვოლგასა" და „ზენიტის" შეხვედრისას მაყურებელთა დარბევა მოხდა და ამ აურზაურში ფეხბურთელიც აღმოჩნდა.

რუსული პრემიერლიგის ყველაზე „ქართულ გუნდი" ამ მატჩში ახალი მწვრთნელის, დიმიტრი ჩერიშევის თავკაცობით გავიდა სათამაშოდ, რომელმაც ამ პოსტზე ომარ თეთრაძე შეცვალა. ამ წყვილში ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, პეტრეს ქალაქელები იყვნენ და რუსეთის ნაკრების ფორვარდ ალექსანდრ კერჟაკოვის დუბლით ქვეყნის ჩემპიონმა დაგეგმილი გამარჯვებაც მოიპოვა.

ეს შედეგი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, აი, ტრიბუნებზე მომხდარი არეულობა კი, ალბათ, დიდხანს იქნება განსჯის საგანი: ნიჟნი ნოვგოროდის მილიცია სასტიკად გაუსწორდა სტუმართა ათასობით ფანს, თანაც, მხოლოდ ხელკეტები კი არ გამოუყენებია, ელექტროშოკიც იხმარეს! სხვათა შორის, დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა... „ზენიტის" ფეხბურთელი, ამ სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, 28 წლის დანკო ლაზოვიჩიც.

არადა, ლაზოვიჩზე ადგილობრივმა მილიციელმა იმ დროს იხმარა ელექტროშოკი, როცა სერბმა ფორვარდმა მაისური გაიძრო და თავის ქომაგებს საჩუქრად გადაუგდო. სანკტ-პეტერბურგში ჩასულ ლაზოვიჩს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა და სხეულის დაზიანების ფაქტიც დადასტურდა: ოფიციალური დიაგნოზით სერბ თავდამსხმელს ელექტროტრავმა და პირველი ხარისხის დამწვრობა აღენიშნება.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ მასპინძლები მომხდარში სტუმართა ფანებს ადანაშაულებენ, რომელთა ზღვარგადასული ქმედებების აღკვეთა „კანონის ფარგლებში" მოხდა...

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# „საბას“ ფინალისტები ცნობილია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ამ ნომინაციების მიხედვით კი „საბას“ წლევანდელი ფინალისტების სია ასეთია:

წლის საუკეთესო პროზაული კრებული — ნინო თარხნიშვილი „სათაური 37-ე გვერდზე“, გურამ მეგრელიშვილი „ადამიანის ქალაქი“, ბესო სოლომანაშვილი „რეისი ლონდონი-ზუზუმბო“, ზურაბ ლეჟავა „უხურდავებელი მონეტა“, ლადო კილასონია, „როცა უკვე დაგვაგვიანდა“, მაკა მიქელაძე „მე და ჩემი კუსტურიცა“, გიგი თევზაძე „უცნობი წიგნები ქართველებისთვის“.

წლის საუკეთესო რომანი — ერლომ ახვლედიანი „კოლო ქალაქში“, გურამ მეგრელიშვილი, თამაზ დემეტრაშვილი „ირაკტა.რუ“, ბასა ჯანიკაშვილი „ომობანა“, თამაზ ექვთიმიშვილი „აქ, ამ ქალაქში“, ლადო კილასონია „აბლაბუდას ზღაპარი“.

წლის საუკეთესო პოეტური კრებული — ლელა სამნიაშვილი „ფრაქტალები“, გივი ალხაზიშვილი „ჩაბრუნებული მზერა“, ეკა ქევანიშვილი „აქ ნუ დადგებით“, დათო ყანჩაშვილი „სიფხიზლის გამო“, პაატა შამუგია „უპირატესობა“, თემურ ჩხეტიანი „უადრესატოდ“, კატო ჯავახიშვილი „მარცხნივ“, ნიკა ჯორჯანელი „სიმღერები დაწყვეტილი სიმებისათვის“, ქეთი ნიჟარაძე „წაუკითხავი ლექსები“.

წლის საუკეთესო პიესა — დათო გაბუნია „სხვისი შვილები, საპნის ოპუსი“, შოთა იათაშვილი „მავედრებელი“, ზურაბ კანდელაკი „სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო!“, ლაშა ბუღაძე „თავი“, თამარ ბართაია „სათამაშო პისტოლეტი“, თამაზ ექვთიმიშვილი „პუანტები“, ირაკლი სოლომანაშვილი „მაპატიე, დედიკო!, „მარილი“, მანანა დოიაშვილი „ერთი ტყვიაც, რა, ღმერთო!“

წლის საუკეთესო დებიუტი — თამთა მელაშვილი „გათვლა“, მიშა ბახსოლიანი „ყველას უყვარს მარი“, ირმა არჩუაშვილი „ინო“, ოლესია თავაძე „სევდიანი ჩანაწერები“, ლუკა ბაქანიძე „ღმერთი ჩემი მოხეტიალე“, ნატა ვარადა „ერთი საათით გვიან“, ირაკლი კაკაბაძე „წერილები და მავთულხლართები“, დევი ბერძენიშვილი (მთარგმნელი) კნუტ ჰამსუნის „შიმშილი“.

წლის საუკეთესო თარგმანი — გიორგი კახაბერი ჟან ჟენეს „ნოტრ-დამ-დე-ფლერი“, ლია ჩლაიძე ორჰან ფამუქის „მე წითელი მქვია“, მაია ქაცანაშვილი მარტენ პაჟის „როგორ გავხდი იდიოტი“, გიორგი ლობჟანიძე საადი შირაზელის „გოლესთანი“, მერი ტიტვინიძე ხულიო კორტასარის „კლასობანა“, ლელა დუმბაძე „განდი“, თემურ ხანთაძე „ავსტრიული მოთხრობა“, გივი კიკილაშვილი ფეოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“.

წლის საუკეთესო კრიტიკა — ნუგზარ მუზაშვილი „გაქცევა ისტორიიდან“, შოთა იათაშვილი „დალაგება“.

წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა — ნაირა გელაშვილი „ჰოლდერლინი“, ინგრიდ დეჰრავე თამარ ბაბუაძე „ცხოვრება მუზეუმში“, გიორგი კაკაბაძე „ნიკო ფიროსმანი — დაკარგული უბრალოების ძიება“, დათო ტურაშვილი „ამერიკული ზღაპრები“, გივი ალხაზიშვილი „მომავალი წარსული“, ლევან ბერძენიშვილი „წმინდა წყდიადი“, ლია სტურუა „ბედნიერი სიჩუმე“, ლევან ბრეგაძე „მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე““, პაატა ქურდაძე „ფსიქოდელიური ქრონიკა“, თამარ ფხაკაძე „გმირი“, რუსუდან ჩოლოყაშვილი, ეკა ჩხეიძე, ნინო ბალანჩივაძე, ნესტან რატიანი, ირმა ყველაშვილი „ანტისაბჭოური სიტყვიერება“.

# პატიმრების წამება არავის შერჩება

შორენა გონგლა ე

პროკურატურამ, მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძისგან გირაოს გადახდაზე სასტიკი უარი მიიღო, ბიწაძის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა მოითხოვა. ბადრი ბიწაძეზე დღეიდან ძებნა ოფიციალურად გამოცხადდება. თუ პროკურატურამ ამჯერადაც ისეთივე მარცხი განიცადა, როგორც გირაოს მოთხოვნისას მოხდა, ეს ნამდვილად ბიწაძე-ბურჯანაძის გამარჯვებად ჩაითვლება. სავარაუდოდ, ეს ასეც მოხდება, ვინაიდან ბიწაძე უკვე დიდი ხანია სამშვიდობოსაა და ჩვენი პროკურატურის ფაფხურს შორიდან უყურებს. თუმცა საინტერესოა, ერთხელ უკვე აყვანილი ბიწაძე რატომ გაუშვეს თუ მისი დაპატიმრება ჰქონდათ განზრახული. მოკლედ, ასა თუ ისე, კითხვის ნიშნები მრავლადაა, თუმცა საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ ადამიანის უფლებათა დამცველები და როგორ აფასებენ ამ ფაქტს, ამ საკითხის შეფასება პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერს, გიორგი ლაღიძეს ვთხოვეთ.

***— როგორც იურისტი, როგორ შეფასებას მისცემდით ამ ფაქტს?***

— ბუნებრივია, მრავალი კითხვის ნიშანი დარჩა 26 მაისის შემდეგ. ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია, თუ მართლაც ბიწაძე იყო დაკავებული, რატომ გაუშვეს? თუმცა მე ამ ინფორმაციას ნაკლებად ვეყრდნობი, ვინაიდან ოფიციალური ინფორმაცია სულ სხვაა, არაოფიციალური კი იმდენად ბუნდოვანია, რომ რაიმე დასკვნების გამოტანა ნამდვილად გამიჭირდება. როდესაც არ იცნობ საქმის მასალებს, ძირეული დასკვნების გამოტანა შეუძლებელია, თუმცა რაც ჩანს, ფაქტია, რომ პროკურატურამ მოითხოვა ასი ათასი ლარი გირაო, მაგრამ ბურჯანაძემ ამ თანხის გადახდაზე უარი განაცხადა. ერთი შეხედვით ჩანს, რომ პროკურატურა იქცევა ყველა ნორმის დაცვით, თუმცა მიმაჩნია, რომ ყველა საქმეში საჭიროა მყარი მტკიცებულებები. რო-



დესაც ადამიანს უყენებ რაღაც ბრალდებებს, ამისათვის საჭიროა უტყუარი მტკიცებულებები, რათა არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმპცია სახელმწიფოს მხრიდან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შეხედულებები გამაჩნია ბურჯანაძის მიმართ, მე ვფიქრობ, რომ პროკურატურას გაცილებით მეტი მტკიცებულებები ესაჭიროება, როდესაც გვაქვს საქმე პოლიტიკურ ფიგურასთან.

***—ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას როგორ აფასებთ, მრავალწლიანი რეფორმების შემდეგ თუ არის სურათი შეცვლილი?***

— სამწუხაროდ, დღეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა ადამიანის უფლებები და პირველ რიგში, ადამიანის უფლებებს არღვევენ ორგანოს ის წარმომადგენლები, ვისაც მისი დაცვა ევალებათ. 2003 წლის შემდგომ, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა დადებითი თვალსაზრისით არ შეცვლილა, პირიქით, გაუარესდა. ერთადერთი, რაც ამ ხელისუფლებამ გააკეთა, არის ის, რომ მოახდინეს საპატიმრო დაწესებულებების განტვირთვა, რაც ყოველთვის იყო პრობლემა, თუმცა შიდა პრობლემებს ყოველთვის ჰქონდა და აქვს სისტემური ხასიათი. სამწუხაროდ, ამას ციხის დირექტორი თავად ვერ გაბედავს, თუ ამაზე მწვანე არ აქვს ანთებული ხელისუფლების ზედა ეშელონებისგან. პატიმართა უმძიმეს მდგომარეობაზე ისიც მეტყველებს, რომ კატასტროფულად არის პატიმართა სიკვდილიანობა გაზრდილი, სამწუხაროდ, ამის სტატისტიკა ჩვენ არ გაგვაჩნია. სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მასმედიისთვის ჩარაზულია საპატიმრო დაწესებულების კარი და საზოგადოება იღებს გაცხრილულ ინფორმაციას სასჯელაღსრულების დეპარტამენტისგან.

***— ყოველთვის არის საუბარი იმაზე, რომ ხშირია პატიმართა ცემა-წამება, მაგრამ ამაზე ღიად საუბარს ყოველთვის ყველა ერიდება...***

— საპატიმრო დაწესებულებებში გამეფებულია შიშის სინდრომი, სრულიად უმიზეზოდ შეიძლება დაამცირონ ადამიანი, აწამონ და ა. შ. ამ დანაშაულის ჩამდენი ადამიანები, მერწმუნეთ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაისჯებიან. სააკაშვილმა შექმნა ქვეყანაში ისეთი რეჟიმი, რომელიც დაფუძნებულია შიშსა და ძალმომრეობაზე. იმიტომ არ საუბრობენ პატიმრის ახლობლები ასეთ ფაქტებზე, რომ მათ ეშინიათ, მათი ახლობელი თუ ოჯახის წევრი გაცილებით ცუდ დღეში აღმოჩნდება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს შიშის ქვეშ. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ადვოკატის როლი არის სრულიად დაკნინებული, რაგინდ ბევრი მტკიცებულება ჰქონდეს ადვოკატს, მის აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ და უპირატესობა ენიჭება პროკურატურის პოზიციებს და ამას მიცემული აქვს სისტემური ხასიათი. იყო შემთხვევა, თუ როგორ დაურეკა მოსამართლემ პროკურორს და უთხრა, მას რომ მიეცა კონკრეტული სასჯელი პატიმრისთვის, მას ხომ არ ეწყინებოდა. ამიტომაც ვამბობ, რომ სასამართლოები არიან ქცეული ნოტარიუსებად და პროკურატურის უსიტყვო ნების შემსრულებლებად. დღეს სამართალწარმოების სივრცეში პროკურატურას უზურპირებული აქვს ძალაუფლება, ალბათ დადგა დრო, ადამიანებმა, ვისი უფლებებიც ირღვევა, ხელისუფლებას გამოუცხადონ პროტესტი და თუ ჩვენი საზოგადოება, ადამიანის უფლებათა დამცველები, პოლიტიკური პარტიები, პატიმართა ოჯახის წევრები არ იქნებიან მობილიზებული, თუ ხელისუფლებას მივუშვებთ თავის ნებაზე, მერწმუნეთ, ისინი უარესს გააკეთებენ. გადახედეთ თქვენს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში, ისინი ამბობენ, რომ უმძიმესი მდგომარეობაა და რეალურად ეს სურათი არ იცვლება იმიტომ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას შესწევს ამის უნარი. მაგრამ ისინი არ ცვლიან იმიტომ, რომ მათ აწყობთ ასეთი რეჟიმი და ამის გამყარებას უფრო და უფრო უწყობენ ხელს.

***— აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოების სანდოობის ხარისხიც დაბალია?***

— მერწმუნეთ, თითზე ჩამოსათვლელია ისეთი საქმეები, როდესაც სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი გადაწყვეტილება, ასეთი საქმეები არის იშვიათი და ეს ხდება იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლეები სამწუხაროდ არიან დაშინებულები და ამიტომაც მათ უჭირთ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

# ვალერიან გორგილაძე — „რვიანში“ შემავალ ზოგიერთ სუბიექტს ნერვებმა უმტყუნა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***არ გამოიწვევს ეს არჩევნებისადმი საზოგადოების მხრიდან ინტერესის საერთოდ დაკარგვას?***

— ინდივიდუალური „ნოვაციების“ მიმართ ჩემი დამოკიდებულება უკვე გამოვხატე, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, — „რვიანის“ ფორმატში ერთიანი საარჩევნო სუბიექტი აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს. ეს ამ სუბიექტის პოზიციების გაძლიერებას აუცილებლად გამოიწვევს. „რვიანი“ არ უნდა იყოს ჩაციკლული მხოლოდ მოლაპარაკებების ფორმატზე. მოწინააღმდეგეს რომ რამე დათმობები აიძულო და დაათმობინო, უნდა აჩვენო შენი ძალა. „რვიანს“ საამისოდ საკმაო რესურსი აქვს. მოლაპარაკებების პარალელურად აუცილებელია, უკვე დღეს ერთიანი პოლიტიკური ბრენდის პოზიციებიდან საარჩევნო კამპანიის წარმოება.

აუცილებელია ჩრდილოვანი კაბინეტის ფორმირება, ნაცმოძრაობისგან„ განსხვავებული, ალტერნატიული ქვეყნის განვითარების პროექტის შემუშავება და ა.შ. ყველაფერი ეს და სათანადო ტექნოლოგიური მედიამხარდაჭერა, დარწმუნებული ვარ შესძლებს ახალი იმპულსის შეძენას ოპოზიციისთვის და მთლიანად პოლიტიკური პროცესისთვის. საუბარი იმაზე, რომ თითქოს რვიანში„ შემავალ პარტიებს შორის არსებობს გარკვეული გადაულახავი პოლიტიკურ იდეოლოგიური და ღირებულებითი წინააღმდეგობები, პირადად მე პოლიტიკურ ინფანტილიზმად მიმაჩნია. მხოლოდ ფართო კოალიციას შეუძლია პოლიტიკურ ბრძოლაში ეფექტიანად დაუპირისპირდეს ნაციონალურ მოძრაობას. არც ერთ ცალკე აღებულ პოლიტიკურ სუბიექტს არ გააჩნია იმდენი ელექტორალური, ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსი, როგორიც ნაც.მოძრაობას, როგორც პოლიტიკურ კორპორაციას.

***— ბრძანეთ, „რვიანი“ ერთიან საარჩევნო სუბიექტად უნდა ჩამოყალიბდეს, მაგრამ საეჭვოა ასე მოხდეს. თქვენი აზრით, რა ვითარებას მივიღებთ თუ რვიანი„ ერთიან პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა?***

— მე არ ვარ ასე პესიმისტურად განწყობილი და ვიმედოვნებ, რომ რაციონალიზმი და საღი აზრი გაიმარჯვებს. ვიმეორებ, სხვა გამოსავალი ოპოზიციას არა აქვს. სავსებით ვუშვებ იმის შესაძლებლობასაც, რომ მომავალი პოლიტიკური კოალიცია შეიძლება ვერ შედგეს რვიანის„ სრულ ფორმატში, მაგრამ არც ამაში ვხედავ უბედურებას.

ვფიქრობ, რომ მომავალი კონფიგურაცია სავარაუდოდ 6-7 პოლიტიკური სუბიექტისგან შედგება. თუკი ერთიანი პოლიტიკური ბრენდი არ შედგა, არ გამოვრიცხავ მომავალ პარლამენტში ოპოზიციას იმაზე მცირე წარმომადგენლები ჰყავდეს, ვიდრე ახლა ჰყავს.

**ინტერპრესნიუსი**

## მბრძანებლობთ თუ მორჩილებთ:

**ტესტი**



***1. მეგობრობა თქვენთვის არის:***

ა. თანამშრომლობა. ბ. მხარდაჭერა. გ. ალტრუიზმი.

***2. ნამდვილი ხელოვანი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა:***

ა. ნიჭიერი, ბ. შეუპოვარი. გ. მომზადებული.

***3. წვეულებაზე თავს გრძნობთ:***

ა. ყვინჩილად. ბ. ვარიკად. გ. წიწილად.

***4. გეომეტრიული სხეული რომ ყოფილიყავით, იქნებოდით:***

ა. ცილინდრი. ბ. სფერო. გ. კუბი.

***5. როდესაც მოგწონთ ქალი (მამაკაცი), თქვენ:***

ა. დგამთ პირველ ნაბიჯს. ბ. ელოდებით, სანამ ის გადადგამს პირველ ნაბიჯს. გ. პატარა ნაბიჯებს დგამთ.

***6. თუ საჯაროდ გიხდებათ გამოსვლა, ამჩნევთ, რომ:***

ა. გისმენენ. ბ. გაკრიტიკებენ. გ. არ გისმენენ.

***7. კონკია იყო:***

ა. უბედური გოგონა, ბ. ეშმაკი კარიერისტი. გ. ბუზღუნა.

**პასუხები** *პასუხები შეაფასეთ: ა — 1, ბ — 2, გ — 3.*

**7-11 ქულა:** გენერალი ხართ. ბავშვობიდანვე ყველას სთავაზობდით დახმარებას, ასაკთან ერთად, ადამიანებზე თქვენი ზეგავლენა კიდევ უფრო გაიზარდა.

**12-16 ქულა:** უმცროს ოფიცერს ჰგავხართ. მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა უროსა და გრდემლს შორის ყოფნა. ცოტათი ხელმძღვანელი ხართ, ცოტათი — ხელქვეითი.

**17-21 ქულა:** ჯარისკაცი. არ შეგიძლიათ მბრძანებლობა და სხვებთან კონკურენცია, ამიტომაც გიწევთ პრობლემების ატანა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. მზის სისტემის პლანეტა; 5. რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 8. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი სახელწოდება; 9. გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელებული კომიკური ოპერების სახელწოდება; 12. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. კაზაკთა სოფელი; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლებთან ბრძოლა შხამქიმიკატების შეხრჩოლებით; 6. ძველებური შვეიცარიული ცივი იარაღი, გრძელტარიანი შუბი; 7. ცალკეული შემთხვევა, მომხდარი ამბავი; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 15. მოხეტიალე ცირკი; 17. ლიხტენშტეინის მთავართა ტიტული; 18. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 19. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული საესტრადო ანსამბლი; 20. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ექსპორტი; 6. პარაშუტი; 8. პენსილვანია; 10. პარტერი; 11. იენა; 12. მირაჟი; 14. ნაღმი; 17. ალალი; 19. არმია; 20. პანორამა; 21. იზაი; 22. დიპლიპიტო; 23. პირუეტი.

**შვეულად:** 1. აქცენტი; 2. ტრაქტირი; 3. ეტალონი; 5. ოლიგარქი; 7. ანარქია; 9. ქრიზოლიტი; 13. პიკნიკი; 15. აპრილი; 16. კატარი; 18. კრავი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მინდია; 2. მანსარდა; 3. იო; 4. მე; 5. რამპა; 6. ლიე; 7. ნეირო; 8. პარადი; 9. პინა; 10. კამეა; 11. სიო; 12. ტირი; 13. პატი; 14. მერი; 15. ასი; 16. პანაშვიდი; 17. ირისი; 18. დისკი; 19. ამია; 20. კანი; 21. კოლიბრი; 22. ალი; 23. კარპატები; 24. დინა; 25. ბაირონი; 26. ლუდი; 27. უდე; 28. არკებუზი; 29. ესკიზი; 30. ემბრიონი; 31. იდიში; 32. ნებიერი.

**სურათებზე:** კეტი პრაისი; ალან შირერი.

# ვანუატუს აფხაზეთი არ უღიარებია

ნათია ხურცილავა

ივნისის დასაწყისში ინფორმაცია გავრცელდა, რომ წყნარი ოკეანის ერთ-ერთმა ჯუჯა სახელმწიფომ, ვანუატუმ, აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ამას ქართული ტელევიზიების მხრიდან მთელი ლანძღვა-გინება მოჰყვა, თუმცა, მოგვიანებით როგორც გაირკვა, ვანუატუს არ უღიარებია აფხაზეთი.

ბოლო ინფორმაციით კი ვრცელდება, რომ ვანუატუს ახალმა მთავრობამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, ოფიციალურ ვანუატუს აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ უღიარებია.

ამის შესახებ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საგარეო უწყებისთვის არსებობს ოფიციალური ინფორმაცია, რომლითაც აღნიშნული ფაქტი დასტურდება.

— სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისთვის ვანუატუსაგან ოფიციალური პასუხის მიღება რთულია, რადგან იქ წარმომადგენლობა არ გვყავს. გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ გადავამოწმეთ შუამავალი სახელმწიფოების მიერ მოწოდებული ცნობები. მათი განცხადებით, ვანუატუ საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავებას აპირებს და სწორედ ამიტომ ის საქართველოს ერთიანობას აღიარებს, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების უარყოფის საკითხი აქტიურად დგას. ბოლო ინფორმაციით, კუნძულოვანი სახელმწიფოს ახალმა მთავრობამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

# რისთვის ემზადება გიგი უგულავა

ნათია ხურცილავა



ხელისუფლების მაღალი მოხელის, მეურნე თანამდებობის პირის მიერ პირველი ხმამაღალი პოლიტიკური განცხადი — 26 მაისს აქციის დასაშლელად არაპროპორციული ძალის გამოყენების შესახებ უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ ბატონი მერი ემზადება. ემზადება არც მეტი, არც ნაკლები, პრეზიდენტობისთვის. ამის კიდევ ერთი დასტური, შეიძლება ითქვას, ის განცხადებაა, რომელიც უგულავამ ლატვიაში გააკეთა.

ლატვიელი ჟურნალისტი ინტერესდება, როგორ აფასებს გიგი უგულავა საკუთარ შანსებს მომავალ საპრეზიდენტო არჩენებზე, რომელიც 2013 წელს გაიმართება.

თბილისის მერი საქართველოს პრეზიდენტის შესაძლო კანდიდატად დასახელდება თუ არა? ამ კითხვას გიგი უგულავა პასუხობს, რომ ამაზე სხვადასხვა სპეკულაცია არსებობს.

ვის წამოაყენებს „ნაციონალური მოძრაობა“ თავის საპრეზიდენტო კანდიდატად საპრეზიდენტო არჩევნებზე? უგულავა აცხადებს, რომ ამ საკითხზე პროგნოზების გაკეთება ჯერ ადრეა.

— ჩვენთვის, ჩემთვის, მიხეილ სააკაშვილისა და პარტიის სხვა ლიდერებისთვის მნიშვნელოვანი ის კი არ არის, სად ვიქნებით ჩვენ 2013-2014 წლებში, არამედ ის, სად იქნება ჩვენი სახელმწიფო. ჩვენი პარტიის საქმიანობას ახლა მოსახლეობის 75-78 პროცენტი უჭერს მხარს. ადამიანებს აუცილებლად უნდათ იმ კურსის გაგრძელება, რომელიც სააკაშვილმა აიღო, მიშამ, როგორც მას უწოდებენ. სწორედ ამაშია ჩვენი ოპოზიციის შეცდომა. ის ანტიმიშას წარმოადგენს, ხალხს კი გაუმჯობესებული მიშა სურს, — აცხადებს გიგი უგულავა.

— ქართული ოპოზიცია ანტიმიშას წარმოადგენს, ხალხს კი გაუმჯობესებული მიშა სურს, — ეს განცხადება, როგორც აღვნიშნეთ, გიგი უგულავას ეკუთვნის. ე.ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველ ამომრჩეველს უგულავა სწორედ სააკაშვილის გაუმჯობესებულ ვარიანტად სთავაზობს საკუთარ კანდიდატურას.

ქალაქის მერის თქმით, ყველაზე მეტს ქართულ ოპოზიციაში ის „ხმაურობს“, ვისაც საზოგადოებაში ნულოვანი მხარდაჭერა აქვს.

— მთელი ხუთი დღის განმავლობაში, როცა თბილისში აქციები მიმდინარეობდა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ამას პირდაპირ ეთერში გადასცემდა. ჩვენ მომიტინგეებს ქუჩების ბლოკირების საშუალებაც კი მივეცით. თბილისის მერიამ გააკეთა ყველაფერი, რომ ადამიანებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ჰქონოდათ, მაგრამ, როცა ეს მოქმედებები ანტიკონსტიტუციური გახდა და ძალადობრივი ხასიათი შეიძინა, მოხდა ის, რაც მოხდა, — განაცხადა გიგი უგულავამ „ტელეგრაფთან“ ინტერვიუში.

ქალაქის მერი ყველაზე დიდ პრობლემად უმუშევრობას მიიჩნევს. უგულავა აცხადებს, რომ საქართველოს დედაქალაქში უმუშევრობის დონე მაღალია და, სამწუხაროდ, 25 პროცენტს შეადგენს.

— საშუალოდ კი ქვეყანაში უმუშევრობის დონე 16 პროცენტია. ეს იმიტომ, რომ რაიონებიდან ბევრი ადამიანი დასაქმების იმედით დედაქალაქში ჩამოდის. უმუშევრობა ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემაა, — აცხადებს გიგი უგულავა.

რამდენად აღიქვამს პრეზიდენტი სააკაშვილი პირველად პირდაპირი წესით არჩეულ თბილისის მერს, გიგი უგულავას კონკურენტად, ესეც მალე გამოჩნდება.

# სერენა უილიამსი: „არასდროს მსიამოვნებს ვინუსის წინააღმდეგ თამაში“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლა, ერთობლივად გვევარჯიშა. ერთი კვირის განმავლობაში ერთად დავდიოდით დარბაზში, შემდეგ კი ჩვენ-ჩვენი გზით განვაგრძეთ მზადება.

***— გულშემატკივარს აინტერესებს, ერთად რატომ არ ვარჯიშობთ?***

— ჩვენი კარიერა თავიდანვე ამგვარად აეწყო. ცალკე გუნდებში გავდივართ მომზადებას და სხვადასხვა სპარინგ-პარტნიორებიც გვყავს. ერთია, არასდროს მსიამოვნებს ტესტ-მატჩში ვინუსის წინააღმდეგ თამაში. იგი ძალიან ძლიერია და, როცა ვაგებ, ცუდ გუნებაზე ვდგები ხოლმე.

***— სათამაშო პაუზა ადრეც გქონიათ. მაშინ ტრავმის მოშუშების შემდეგ კორტს ავსტრალიის ღია პირველობაზე დაუბრუნდით და „მწვანე კონტინენტის“ სადიდსლემო ტურნირი მოიგეთ. ამჯერადაც იმავეს გეგმავთ?***

— ანალოგიურის დაგეგმვა ძალიან რთულია. ხომ არ გავიწყდებათ, ჯანმრთელობის როგორი სერიოზული პრობლემა მქონდა. სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნაზე ვიყავი.

***— ოპერაციის შემდეგ ეს ექიმებმა გითხრეს?***

— ორივე ფილტვში რამდენიმე ემბოლია მქონდა. ქირურგიული ჩარევა დროზე რომ არ მომხდარიყო, დღეს ჩემგან ინტერვიუს ნამდვილად ვერ აიღებდით. არადა, თავდაპირველად ავადმყოფობას სერიოზული ყურადღება არ მივაქციე, მეგონა, გადაღლილი ვიყავი და ფიზიკური დატვირთვის შემცირებით გამოვკეთდებოდი. ერთ-ერთი მძლეოსნური კროსის დროს თავი ცუდად ვიგრძენი, სუნთქვა შემეკრა და გვარიანი შიშიც ვჭამე. მადლობა უფალს, ყველაფერი კეთილად დასრულდა. ყველაფერი ღმერთის ხელშია და ბედნიერი ვარ, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში განგებამ ამდენ ბრწყინვალე ადამიანს რომ გადამყარა.

***— დიდი სლემის იმ ტურნირებს თუ ადევნებდით თვალ-ყურს, რომლებშიც არ მონაწილეობდით?***

— აშშ-ის ღია პირველობის ლამის ყველა მატჩი ვნახე. იმ დროს უკვე გამოჯანმრთელებისკენ მიდიოდა ჩემი საქმე. ავსტრალიის ჩემპიონატს რაც შეეხება, მას სათანადო ყურადღება ვერ დავუთმე, რადგანაც პირადი საქმეებით გახლდით დაკავებული.

— ბოლოს ერთ კითხვასაც დაგისვამთ. გახსოვთ 1998 წელი? მაშინ პირველად იასპარეზეთ უიმბლდონის ტურნირზე.

— რამე ხომ არ გეშლებათ? ძალიან ახალგაზრდა ვარ საიმისოდ, შორეულ 1998 წელს უიმბლდონზე რომ მეთამაშა. წარსულზე ნაკლებად ვფიქრობ, სამომავლო გამარჯვებებს ვგეგმავ.

# ნინო ანანიაშვილი კოლეგებს დააჯილდოებს

ეკა ირემაშვილი



ქართველი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი 27 ივნისს რუსთაველის თეატრში კოლეგებს დააჯილდოებს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი და გალაკონცერტი სიმბოლურად დაემთხვევა ჟილბერ ალბერისა და ნინო ანანიაშვილის საერთაშორისო პრემიას „ვარსკვლავი“, რომელიც ნიჭიერი მოცეკვავეებისთვის 2003 წელს დაწესდა. ეს პრემია ცნობილმა შვეიცარიელმა იუველირმა ჟილბერ ალბერმა და პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა ახალგაზრდა მოცეკვავეებისათვის დააფუძნეს. სპეციალური პრემია „ვარსკვლავი“ ყოველწლიურად გაიცემა ახალგაზრდა, ბალეტის სფეროში მოღვაწე დამწყები ვარსკვლავებისათვის.

იუველირმა თავისი ნაკეთობა საზღვაო ვარსკვლავის ფორმით დაამზადა, რადგან მას სურდა იგი ახლოს ყოფილიყო ბუნებრივ მოვლენებთან.

— რა თქმა უნდა, შემეძლო შემეხედა ცისთვის, მაგრამ ასეთი ლამაზი ვარსკვლავი არ შეიქმნებოდა, — განაცხადა ჟილბერ ალბერმა.

პრემია მაქმანისებურ ვარსკვლავს წარმოადგენს, რომელიც ვარდისფერი მარგალიტისგანაა დამზადებული და შავ პოსტამენტზეა დამაგრებული. პრემია წელს უკვე მესამედ გაიცემა. წელს „ვარსკვლავის“ ლაურეატები არიან — ლაშა ხოზაშვილი (ბოსტონის ბალეტის პრემიერი, აშშ), ევგენია ობრაზცოვა (მარიის თეატრი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი), ნინო გოგუა (საქართველოს სახელმწიფო ბალეტი), დევიდ ჰოლბერგი (ამერიკის ბალეტის თეატრი, ნიუ-იორკი, აშშ).

კოლეგების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალამდე კი თბილისი ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასმა ბალეტის მოყვარულებს ერთმოქმედებიანი ბალეტები გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში შესთავაზა. წარმოდგენილი იყო სამი ერთმოქმედებიანი ბალეტი — „ლეა“, „წამი გარდასახვამდე“, „აპოლონ მუსაგეტი“. სპექტაკლში „ლეა“ მონაწილეობდნენ — ნინო ანანიაშვილი (ლეა), ვასილ ახმეტელი (ხანანი). „აპოლონ მუსაგეტში“ — ლაშა ხოზაშვილი (აპოლონი), ნინო გოგუა (ტერფსიქორა), ანა მურადელი (პოლიჰიმნია), ანა ალბუთაშვილი (კალიოპე). სპექტაკლში „წამი გარდასახვამდე“ მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ლალი კანდელაკი, ლაშა ხოზაშვილი, ნინო მახაშვილი, დავით ანანიაშვილი, ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი.

„ლეას“ პრემიერა თბილისში 2005 წელს შედგა. ქორეოგრაფი ალექსეი რატმანსკია, დამდგმელი ბალეტმაისტერი — ალექსეი ფადეეჩევი. „ლეა“ სიმონ ანსკის (ებრაელი დრამატურგი შლომო რაპოპორტი) პიესის „ორ სამყაროს შორის“ მიხედვითაა შექმნილი, რომელიც ებრაელი ხალხის ლეგენდის — დიბუკის შესახებ მოგვითხრობს. სული სხეულის გარეშე დახეტიალობს ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის. მოქმედება ებრაულ დასახლებაში ხდება. განშორებული შეყვარებულები ილუპებიან მას შემდეგ, რაც საქმრო, აკრძალვის მიუხედავად, შეყვარებულის დასაბრუნებლად მიმართავს მაგიურ ძალას. ალექსანდრე რატმანსკის „ლეა“ სიმონ ანსკის პიესასა და იმავე მუსიკას ეყრდნობა. 2001 წელს ეს ბალეტი რატმანსკიმ სპეციალურად ნინო ანანიაშვილისათვის დადგა.

სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტი“ ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფიაა. ბალანჩინის ბალეტების დადგმა განხორციელდა ჯორჯ ბალანჩინის ფონდთან თანამშრომლობით და შეესაბამება ბალანჩინის სტილსა და ბალანჩინის ტექნიკას. პრემიერა თბილისში შედგა 2005 წელს. დამდგმელი ბალეტმაისტერები ბარტ კუკი და მარია კალეგარი არიან. „აპოლონი“ ჯორჯ ბალანჩინმა იგორ სტრავინსკის მუსიკაზე დიაგილევის დასისათვის შექმნა. ბალეტი ხელოვნების და სილამაზის დიად ძალას უმღერის. ზევსისა და ლეტოს ვაჟი — აპოლონი ეუფლება ცეკვისა და არფაზე დაკვრის ხელოვნებას, რაშიც მას სამი მუზა ეხმარება. ამ ბალეტის დადგმით 24 წლის ბალანჩინმა საერთაშორისო აღიარებას მიაღწია და თანამშრომლობა დაიწყო იგორ სტრავინსკისთან, რომელიც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდა. „აპოლონ მუსაგეტი“ ბალანჩინს მის შემოქმედებით ცხოვრებაში შემობრუნების წერტილად მიაჩნდა.

ქრონოს კვარტეტი „წამი გარდასახვამდე“ მსოფლიო პრემიერა ჰიუსტონის საბალეტო თეატრში შედგა. თბილისური პრემიერის ავტორები კი იყვნენ ქორეოგრაფი თრეი მაკინტაერი და დამდგმელი ბალეტმაისტერი ალექსეი ფადეეჩევი. ერთმოქმედებიანი აბსტრაქტული ბალეტი „წამი გარდასახვამდე“ თანამედროვე ამერიკელმა ქორეოგრაფმა თრეი მაკინტაერმა ჰიუსტონის საბალეტო დასისთვის შექმნა. ბალეტი აფრიკულ ლეგენდას ეფუძნება, რომლის მიხედვით სიკვდილის წინ ადამიანი საკუთარი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან და ბედნიერ მომენტებს იხსენებს.

თბილისი „არტ ჰოლში“ შეკრებილ საზოგადოებას ქართულმა საბალეტო დასმა ავგუსტ ბურნონვილის ქორეოგრაფია შესთავაზა. წარმოდგენილი იყო ნაწყვეტები ბალეტიდან „ციმბირიდან მოსკოვამდე“. იდეის ავტორი ფრენკ ანდერსენია, სპექტაკლი აღდგენილია ფრენკ ანდერსენის, დინა ბიორნის, ან მარი ვესელ შლიუტერის, ევა კლობორგის მიერ. დამდგმელი ქორეოგრაფების ასისტენტი ეკა შავლიაშვილია. კოსტიუმების მხატვარი ალექსანდრე ვასილიევი. ბალეტის პრემიერა შედგა დანიის სამეფო თეატრში, თბილისში კი პრემიერა ორი წლის წინ გაიმართა. „არტ ჰოლში“ ასევე შესრულდა პაულის პა დე დე ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“. დამდგმელი ბალეტმაისტერები ფრენკ ანდერსენი და ევა კლობორგი არიან, კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი — ნათია სირბილაძე, დამდგმელი მხატვარი კი დავით მონავარდისაშვილია.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნათელა ღვინჯილია-ჯიქიას გახსენება



ნათელა მასწავლებელო, მეორმოცე დღეა, ცათა სასუფეველს შეუერთდით. თქვენი თვალებისა და ხელების სითბო დაუვიწყარია, ჩვენო პირველო დამმოძღვრავო.

არსად წასულხართ ჩვენი გულებიდან და ხსოვნაში დარჩით, როგორც ნამდვილი მასწავლებელი, ცხოვრებას რომ გვილამაზებდით — ნამდვილსა და მომავალსაც.

გვიყვარხართ სამუდამოდ.

მშვიდად იძინეთ, ძალიან ლამაზი შთამომავლობა დატოვეთ საკუთარიცა და სხვებიც.

**თქვენი ყოფილი მოსწავლე მაგული ჩხიკვა ე, მისი თანაკლასელები და კოლეგა ქეთევან ჩემია**

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობისა და ინდივიდუალური წარმოების სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი დიდი პატივისცემით თანაუგრძნობს შპს „მშვიდობა-91“-ის დირექტორს, ბატონ გურამ მეფარიშვილს ძვირფასი მეუღლის, ქალბატონი

**ლალი მეფარიშვილის**

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს აპარატის თანამშრომელს დემურ კვიტატიანს ბაბუის

**არსენა კვიტატიანის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 21 ივნისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "დინოზავრების კვალდაკვალ" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 01.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"ბედის წინააღმდეგ"** (მ. რაიანი) (სუბტ.) **01.00** მოამბე **02.20** აუდიტორია **03.20** მხ. ფილმი **"თავისუფლების მწვერვალები"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ.ფ."მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **20.00** მხ. ფ.**"რეიგანების ოჯახი"** **01.00** მხ. ფილმი **"ალფი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** პოკერ რინგი **02.25** მხ. ფილმი **"რა სურთ ქალებს"** (მ. გიბსონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.00, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.50, 21.00** სერ.**"დიდი ტურინი"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ჯიხეთი — დედათა მონასტერი" **11.00** საქართველოს ისტორია **11.25** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"იავნანა"** **13.30** კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"დაგვიანებული სასიძო"** **16.40** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.15** ფილმი-ზღაპარი "ბოროტი ობობა" **17.30** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.20** დოკ. ფილმი "მათ სიცოცხლე სურდათ" **01.35** კონცერტი — მარტა არგერიში

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6583

ევრო — 2,4216

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,0597

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 21-27, ღამით — 12-1§

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 16-1§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-23, ღამით — §-15

## ამინდის პროგნოზი 21 ივნისისთვის








**წამალი "ფერდი"** შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

**წამალი "ფერდის"** მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

**წამალი "ფერდი"** იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# ნიონში ქართველებს მეტოქეები დაუდგინეს

**შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩატარდა ევროტურნირების კენჭისყრა. ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონ „ზესტაფონის" მეტოქე მოლდოვის ჩემპიონი კიშინიოვის „დაჩია" იქნება.**




ქართველები პირველ მატჩს შინ 12 ან 13 ივლისს გამართავენ, საპასუხო შეხვედრა კი ერთი კვირის შემდეგ მოლდოვის დედაქალაქში შედგება.

ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტია. „ზესტაფონის“ მსგავსად, „ყვითელ მგლებად“ წოდებული „დაჩია“ წელს პირველად გახდა თავისი ქვეყნის ჩემპიონი. მას წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იგორ დობროვოლსკი წვრთნის, რომლის განკარგულებაში გასულ სეზონში 4 ქართველი ფეხბურთელი ირიცხებოდა. დავით გამეზარდაშვილი და ლევან კორგალიძე გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. რაც შეეხება მამუკა ლომიძეს, მან გუნდი დატოვა, ხოლო გააგრძელებს თუ არა კარიერას მოლდავურ გუნდში ვასილ ლუჭაშვილი, ეს საკითხი ამ ეტაპზე უცნობია.

ასევე გაირკვა ევროპის ლიგაზე მოთამაშე სამივე ქართული გუნდის — თბილისის „დინამოს“, რუსთავის „მეტალურგისა“ და „გაგრის“ მეტოქეები.

გაგრელები, როგორც თასის მფლობელები, მეორე ეტაპიდან ჩაერთვებიან ბრძოლაში, ხოლო პირველ ეტაპზე, რომელიც 30 ივნისსა და 7 ივლისს გაიმართება, „დინამო“ მოლდავეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასულ „მისლამს“ შეხვდება, ხოლო „მეტალურგი“ — სომხურ „ბანანცს“, რომელმაც თავის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. თბილისელები პირველ მატჩს შინ გამართავენ, ხოლო რუსთაველები — სტუმრად.

გამარჯვების შემთხვევაში მეორე ეტაპზე მეტოქეთა ვინაობაც ცნობილია. „დინამო“ უელსურ „ლანელს“ შეხვდება, ხოლო „მეტალურგი“ — პოლონურ „იაგელონიასა“ და ყაზახურ „ირტიშს“ შორის გამარჯვებულს.

რაც შეეხება „გაგრას“, რომელიც მეორე ეტაპიდან ჩაერთვება, მისი მეტოქე კვიროსული „ანორთოსისი“ იქნება, რომელიც თემურ ქეცბაიას მწვრთნელობისას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც კი მოხვდა.

ჩვენი გუნდების მეტოქეებზე დაწვრილებით ინფორმაციას უახლოეს ნომერში მოგაწვდით.

**მ. ჟ.**

# ასტროპროგნოზი
## 21 ივნისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კირჩხიბი** — ნუ აყვებით სხვებს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **ლომი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ღრიანკალი** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **მერწყული** — ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, მშვიდად იმოქმედეთ. **თევზები** — მშვენიერი დღე გაქვთ წინ, ყველაფერი გამოგივათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 15 ივნისიდან
# იყიდება
## „ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

**100 წიგნი**

# სუპერპროექტის
## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 7**

## მარკესი

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


# იუმორი



***

— მითხარით, არსებობს თუ არა პროგრამა, რომელსაც ინტერნეტის სიჩქარის გაზრდა შეუძლია?

— არა, არ არსებობს, სამაგიეროდ გვაქვს პროგრამა, რომელიც მონიტორის დიაგონალს ზრდის...

***

— ვატსონ, თქვენ ალბათ კვლავ ბასკერვილების ძაღლი დაგესიზმრათ, არა?

— საიდან მოიტანეთ, ჰოლმს?

— გუშინ, თქვენი სახლიდან კვლავ ყვირილი ისმოდა.

— მართლა? მერე, რას ვყვიროდი?

— „რა გინდოდა სერ ჰენრისთან, შე ძუკნავ?“

***

— რატომღაც ყველას სიკვდილის ეშინია, მაშინ როდესაც სიცოცხლე გაცილებით უფრო საშიშია...

***

ღამის სამ საათზე ტელეფონი აწკრიალდა.

— ალო!

— უკაცრავად, ალბათ უკვე გეძინათ.

— რა თქმა უნდა!

— თუ ასეა, დილით გადმოვრეკავ.

***

— გუშინ 800 კილოკალორია დავწვი.

— მოიცა, კალამი ავიღო, აბა, მიკარნახე, როგორ?

— ჰაერღუმელში პიცა დამავიწყდა...

**გ. თ.**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. უბანი თბილისში; 3. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 6. დარიშხანის საბადო ამბროლაურის რაიონში; 8. ამერიკული ჯიპი; 11. გონიოს ციხესიმაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 13. უცნაური, გასაოცარი რამ; 14. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 15. უხეირო ლექსები; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

**თარაზულად:** 1. შუა საუკუნეებში რომის პაპის სასჯელი, რომაელი მოქალაქისთვის წირვა-ლოცვის დროებითი აკრძალვა; 4. წმინდა ოქრო; 7. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 9. ქართული ნავთობკომპანია; 10. პოპულარული თოჯინა; 12. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 16. ისტორიული ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 17. რაიონული ცენტრი კახეთში; 18. მოდუღებული ტყემლის მჟავე, სქელი წვენი; 20. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 21. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

